# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 8 აგვისტო 2005 №179 (2502) ფასი 50 თეთრი

# თამაში მზის დაკრულზე

| | | |
|---|---|---|
| დინამო | 1:0 | თბილისი |
| ამერი | 2:0 | ზესტაფონი |
| ვიტ ჯორჯია | 2:2 | სოხუმი |
| სპარტაკი | 0:0 | ბათუმი |
| ტორპედო | 0:0 | ლოკომოტივი |
| სიონი | 2:0 | დილა |
| ცხინვალი | 0:1 | კახეთი |
| ბორჯომი | 1:0 | კოლხეთი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ამერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| სიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ცხინვალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბორჯომი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| კახეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ზესტაფონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სოხუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ტორპედო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| თბილისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |



ამერმა ზესტაფონი ვახტანგ ხვადაგიანის (№24) გოლით გატეხა

# ორი დღე ერთი რეკორდი

## ოლიმპიადა ივანოვამ ოც კილომეტრზე იჩქარა




ოლიმპიადა ივანოვამ 20 კილომეტრზე მსოფლიო რეკორდი გამოაცხო




ჯასტინ გალტინი ოლიმპიური და გუშინდლიდან უკვე მსოფლიოს ჩემპიონიცაა 100 მეტრზე რბენაში

# ტალღა — სახელად ამერი

## დებიუტანტმა ფეროს ფერი წაუშალა



ალექსანდრე კოშკაძის დარტყმულს ზურაბ ქვაჩახიამ ვერაფერი მოუხერხა

თბილისი. 7 აგვისტო. 17.30 საათი. ამერი. 800 (ტევადობა 800)

### ამერი 2:0 ზესტაფონი

1:0 ხვადაგიანი (48), 2:0 კოშკაძე (57)

**ამერი:** ნიკურაძე, გ. კვახაძე, ხვადაგიანი, დავითნიძე, ბერიანიძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე (ბუალავა 70), სილაგავა (გ. ჩხეტიანი 46), ა. კაიდარაშვილი, კოშკაძე (დ. მჭედლიშვილი 76), ს. დავითაშვილი
*სათადარიგონი:* ლ. ნადირაშვილი; ელბაქიძე, წინამძღვრიშვილი, ნ. ნადირაძე
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, ხიდეშელი, ლონლაძე, ფეზუაშვილი (რ. კვერნაძე 16), ბესარაშვილი (ნუდნი 64), ძამსაშვილი, განუგრავა, გ. ჩხეტიანი, ბ. გოცირიძე (იმედაძე 60), იონანიძე, გ. თურმანიძე
*სათადარიგონი:* შზიკაძე; პარამონოვი, ლაფერაშვილი, ბ. ნოზაძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** დავითნიძე (12), დობროვოლსკი (28), ნუდნი (90)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

ილია ნანობაშვილი

**გინდ** აქედან მიუდექი, გინდ იქიდან — თბილისის „ამერმა“ შარშანდელი სეზონის აღმოჩენა „ზესტაფონი“ სასტიკად დაჩაგრა.

თამაში ხეირიანად არც დაწყებულიყო, რომ სტუმართა კართან უკვე გვარიანად დაცხა, გოლი ნელნელა მწიფდებოდა და გვიან, მაგრამ ნაყოფი მაინც გამოიღო.

ასეთი ამბები იყო გლდანში, „ამერის“ კოხტა სტადიონზე, რომელმაც პირველად უმასპინძლა უმაღლესი ლიგის მატჩს და სადაც ახლა ტრიბუნა 800 მაყურებელს იტევს. აბა, აქამდე 200-250 კაცი ეტეოდა და ბლომად ქომაგს ზეზეულაც კი უწევდა თამაშის ცქერა.

რა თქმა უნდა, იყო ტრადიციული რიტუალი, გუნდების კაპიტნებმა — გიორგი დავითნიძემ და გიორგი თურმანიძემ საქართველოს დროშა აღმართეს. მატჩს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც დაესწრო.

როგორც უკვე ვთქვით, „ამერმა“ ბობოქრად დაიწყო და ალექსანდრე კაიდარაშვილის თავური პასის შემდეგ გიორგი სილაგავა „ზესტაფონის“ მეკარეს თითქმის პირისპირ შეეყარა, დარტყმაც მძლავრი გამოუვიდა, მაგრამ ზურაბ ქვაჩახიამ რეაგირება მოასწრო. ორიოდ წუთში კი სადავო მომენტი იყო: ისე, რაღა სადავო, ზესტაფონელებმა კაიდარაშვილი საჯარიმოში წააქციეს, თუმცა მსაჯმა მეშკოვმა დარღვევა ხაზს გარეთ დაინახა და საჯარიმო დანიშნა, საიდანაც „ამერისთვის“ სახეირო ვერაფერი გამოდნა.

გიორგი ჩიხრაძის შეგირდები დაწოლას აძლიერებდნენ და მალევე მარცხნიდან შეჭრილმა ალექსანდრე კოშკაძემ ძელს დაადო ნიშანი, ამერელთა გოლეადორმა სულიკო დავითაშვილმა კი მოულოდნელად დააქუხა შორიდან და ქვაჩახიას რომ თითები არ წაეტანებინა...

ვერ იქნა და, „ზესტაფონმა“ თამაში ვერ დაალაგა. მოედნის ცენტრშიც და ფლანგებზეც მასპინძლები ბატონობდნენ. კაიდარაშვილი ყველაზე აქტიური იყო, ჯანიანად ირჯებოდა „ამერის“ ახალწვეული დენის დობროვოლსკიც — რაც ამ ბიჭმა ირბინა და იბრძოლა... და რას აკეთებდნენ ფეროელები? ზურაბ იონანიძე და ბექა გოცირიძე კი აწუხებდნენ თბილისელთა დაცვას, მაგრამ ეს მაინც იშვიათად ხდებოდა, რადგან „ამერი“ დაცვაშიც კარგი იყო.

მეორე ტაიმის დაწყება და გოლი ერთი იყო — გიორგი დეკანოსიძის ნაკუთხურალს ვახტანგ ხვადაგიანმა თავური აძგერა და 1:0. აქ კი შეფუცხუნდნენ იმერლები და ზედიზედ ხუთი კუთხური ჩააწოდეს, მაგრამ ამან ვერაფერში არგოთ და 57-ე წუთზე მეორე ბურთიც მიიღეს საკუთარ კარში...

გოლი კი ნახვად ღირდა: ჯაბა ბერიანიძის თავით დაგდებული ბურთი კოშკაძემ შორიდან მოსხიპა და ქვაჩახიას ნახტომს აზრი დაუკარგა — „ამერი“ 2:0-ის გამნიავებელი აღარ იყო, დაცვაში ჩაჯდომაც არ უცდია, ოღონდ ეგაა, მაინცდამაინც აღარც შეტევებით მოიკლა თავი.

სიტყვა იოლია, საქმე ფასობსო — გუშინ გამოჩნდა, „ამერს“ ევროთასებზე გასვლის ამბიცია სწორედაც რომ უნდა ჰქონდეს. დედა, რა ვნახეთო, ასეთი არაფერი უქნიათ, მაგრამ გამართული ფეხბურთი კი ითამაშეს. გინდ დაცვიდან შეტევაზე სწრაფად გადასვლა, გინდ ტემპი, გინდ აზრიანი სტანდარტულები. შედეგიც სახეზეა: ორი თამაში, ორი მოგება, არც ერთი გაშვებული ბურთი...

„ზესტაფონი“ კი ახლაც საკმაო ძალაა, მაგრამ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის წასვლამ თემურ მახარაძის გუნდს დაღი დაასვა. გუშინ ასე იყო და დანარჩენი სხვა დროს ვნახოთ...

### პრესკონფერენცია

*თემურ მახარაძე:* „ამერმა“ დამსახურებულად მოიგო და ნამდვილად კარგი გუნდია. „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობამ გუნდის გაახალგაზრდავებაზე გააკეთა აქცენტი, დღეს 1988 წელს დაბადებული სამი ჭაბუკი ვათამაშეთ და, ბუნებრივია, ეს დაეტყო კიდეც. ჩვენ სათამაშო პრაქტიკაც გვაკლია, სეზონის წინ ხომ მხოლოდ ორი ტესტ-მატჩი გავმართეთ.

*გიორგი ჩიხრაძე:* ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გვქონდა. მარტო მოგება კი არა, ხარისხი მინდოდა მენახა და ამ მხრივაც კმაყოფილი დავრჩი, თუმცა სამუშაო ჯერაც ბევრია. შეტევისას 4-3-3-ს, დაცვისას კი 4-5-1 სისტემას ვეყრდნობოდით, ფლანგებსაც კარგად ვიყენებდით. ხვადაგიანის გოლმა დაგვამშვიდა და თავდაჯერება შეგვმატა.



ალექსანდრე კაიდარაშვილმა ზესტაფონელებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა



სულიკო დავითაშვილი (№14) ამ ჯერზე უგოლოდ დაშვრა

საქართველოს უმაღლესი ლიგა მეორე **17** ჩემპიონატი ლიგა ეტაპი **2 ტური**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა



ნუკრი ვარდიძის ფოტო

დავით ოდიკაძის ჩაწოდებული 45-ე წამზევე გოლით დაგვირგვინდა

# 45-ე წამი: თამაში დამთავრდა

## კახა ცხადაძე დინამოს სერიოზულად დაელაპარაკება

თბილისი. 7 აგვისტო. 17.30 საათი. ეროვნული. 300 (ტევადობა 70 900)

### დინამო 1:0 თბილისი

1:0 მეგრელაძე (1)

**დინამო:** ზოიძე, გ. თომაშვილი, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, კანდელაკი, ოდიკაძე (გ. ქელიძე 46), ლ. ნოზაძე, კ. მახარაძე, ბაბუნაშვილი (აკობია 82), მელქაძე (დვალიშვილი 33), მეგრელაძე
*სათადარიგონი:* სტურუა; გიგაური, გრიგალაშვილი, ს. იაშვილი
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**თბილისი:** სომხიშვილი, ბოჭოიძე, ბარამიძე, მიმინოშვილი, რევაზ ბარაბაძე (ვ. კვარაცხელია 57), გ. ფოფხაძე, ხაჭიპერაძე, ხოხონიშვილი, გ. დარსაძე (თოფურია 37), გ. ფიფია, გოგოხია (ბერიძე 76)
*სათადარიგონი:* რ. თევდორაძე; გ. იაშვილი, კვასხვაძე, გ. დარასელია
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**გაფრთხილება:** ამისულაშვილი (67), აკობია (90)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; დ. ხარიტანაშვილი (ორივე თბილისი)

**ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

გიორგი ვაშაკიძე

**ზუგდიდელმა** მსაჯმა ლევან კვარაცხელიამ ჩასტვინა, „დინამომ" ცენტრში ბურთი გაათამაშა და მარჯვენა ფლანგზე დავით ოდიკაძე გაიქცა, „ოდოს" ჩაწოდებას კი გოლი მოჰყვა — გია მეგრელაძემ „თბილისის" მცველებს წამით დაასწრო და თავით მეკარე გიორგი სომხიშვილს ახლო კუთხეში გაუტანა — ეს ყველაფერი 45-ე წამზე მოხდა.

შეიძლება ითქვას, თამაშიც აქ დამთავრდა: „დინამოს" თავი აღარ მოუკლავს, საქმე გაკეთებული იყო, ახალგაზრდულ „თბილისს" კი ძალა და კლასი არ ეყო, ინერტული ჩემპიონისთვის გაეტანა.

წინა ტურში თელავში გაძევებული კახა ცხადაძე დისკვალიფიცირებული იყო და რამდენჯერმე ტრიბუნიდან შეუძახა თავის ფეხბურთელებს, გამოცოცხლდითო, მაგრამ „დინამოს" ვერც მწვრთნელმა უშველა — გუნდი მაინც უნდილად ირჯებოდა.

სწორედ თავისი ფეხბურთელების თამაშისადმი არასერიოზულ მიდგომაზე გაამახვილა ყურადღება პრესკონფერენციაზე ცხადაძემ. რა თქმა უნდა, კარგია, რომ მოვიგეთ, მაგრამ 1:0 ნამდვილად არ მაკმაყოფილებს და ბიჭებსაც სერიოზულად დაველაპარაკებიო.

თუმცა ერთიცაა, „დინამო" დანიურ „ბრონდბიუსთან" ჩატარებული მატჩების შემდეგ გადაღლილი ჩანდა ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც.

თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლებოდა, ეს „დინამოს" მარჯვენა მცველი გახლდათ — 18 წლის გულვერდ თომაშვილმა დებიუტის კვალობაზე მართლაც ჩინებულად ითამაშა. შეგირდს გარჯა არც ცხადაძემ დაუკარგა და ნამატჩევს შეაქო კიდეც, დარწმუნებული ვარ, თომაშვილს ქება თავში არ აუვარდება და საკუთარ თავზე უფრო მეტს იმუშავებსო.

მოკლედ, „დინამომ" მოიგო და ჩემპიონატსაც უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ამერთან" ერთად 6 ქულით ლიდერობს

# არის!

## შემობრუნება სოხუმურად

მცხეთა. 6 აგვისტო. 17.30 საათი. არმაზი. 300 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 2:2 სოხუმი

1:0 მარცვალაძე (53), 1:1 მამფორია (49), 2:1 მარცვალაძე (68), 2:2 რუსია (85)

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ჯაფარიძე, აბშილავა, დ. ლომაია, იმედაშვილი, პ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, ცხომარია (ლ. კვარაცხელია 46), ზ. სახოკია (ფეიქრიშვილი 61), ებანოიძე (ვ. კობახიძე 54), მარცვალაძე
*სათადარიგონი:* მუჯრიშვილი; გ. დათუნაიშვილი, ლ. მაჩხაია, ქუხილავა
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**სოხუმი:** ა. ლაბაძე, თ. უგრეხელიძე, შამუგია (ეგაძე 46), ზ. ჯელაძე, ქჟოიძე, მაჩალაძე (ბ. შენგელია 39), ხაჩიძე (ჭანტურია 76), ჩომახიძე, რუსია, მამფორია
*სათადარიგონი:* სეფიაშვილი; ფარჯიანი, მოლოდინი, ერქვანია
**მწვრთნელი:** გოჩა ჟორჟოლიანი

**გაფრთხილება:** უგრეხელიძე (68), ხაჩიძე (73), ჭანტურია (77), კობახიძე (81), ეგაძე (90)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ა. ნონიკაშვილი; გ. ვადაჭკორია (ყველა თბილისი)

**ინსპექტორი:** რ. ტალიაშვილი

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

**არის** მინდორი! ვიტჯორჯიელებმა პირველი საშინაო მატჩი ითამაშეს მეჩვიდმეტე ეროვნულში და თავი პირველ რიგში თვალშისაცემად გაუმჯობესებული მოედნით გამოიჩინეს — „ვიტ ჯორჯიას" მართლაც მონდომებით უმუშავია მინდვრის ასაბიბინებლად და ვიტელთა სარბიელზე ველარავინ იტყვის აუგს.

ვერც სოხუმის „დინამოს" გავკრავთ კბილს — პირველ ტურში „ცხინვალთან" მარცხის შემდეგ სოხუმელებმა ბევრად უკეთესად ითამაშეს და პირველი ქულაც მოინაგრეს.

მატჩი საინტერესო გამოდგა ორმხრივი შეტევებით, გამოუყენებელი საგოლე მომენტებითა და ოთხი გოლით — მუხტი და ემოცია შეხვედრას არ დაეწუნებოდა.

გოლი პირველი: ზაზა სახოკია მანუჩარ შამუგიამ წააქცია და ოთარ მარცვალაძემ პენალტი უნაკლოდ შეასრულა.

ვიტელებს მალე კიდევ უნდა გაეტანათ — დავით იმედაშვილმა მოხდენილ დრიბლინგს 18-19 მეტრიდან დარტყმა მიაყოლა, მაგრამ არცთუ ძლიერად გასროლილ ბურთს ავთანდილ ლაბაძე დაეუფლა.

სოხუმის „დინამო" ნელ-ნელა გონს მოვიდა, საკუთარი ძალა ირწმუნა, ერთი-ორჯერ კარგადაც გააგორა ბურთი და პირველ საგოლე მომენტსაც გამორჩა — თენგიზ უგრეხელიძემ მარჯვნიდან ჩააწოდა, გამოსვლაზე გრიგოლ ბედიაშვილი შეცდა, მაგრამ გოჩა მამფორიამ მეკარისგან მიტოვებულ კარს 11-12 მეტრიდან თავით ვერ დაუმიზნა ბურთი.

ორმხრივად ნიათიანი თამაში გაჩაღდა. გამოსარჩევია პავლე დათუნაიშვილის რეიდი, ვინც, ფაქტობრივად, პირისპირ დარჩა ლაბაძესთან და სოხუმელმა მეკარემ ფეხით მოიგერია ბურთი. ცოტაც და, მარცვალაძემ გამოიდო თავი, მარცხნიდან შუისკენ შეიწია, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ლაბაძის მუშტებს შეაწყვიტა მრგვალი საგანი. არც „სოხუმი" გამოდგა ჯაბანი — შოთა ჩომახიძის პასით მამუკა რუსია ბედიაშვილთან უნდა გასულიყო პირისპირ, მაგრამ მცველდადევნებულმა ფორვარდმა მეკარესთან მიახლოებას დარტყმა არჩია, რაც უხეიროდ შეასრულა.

მეორე ტაიმი ოთხი წუთის დაწყებული იყო, შეცვლაზე შესულმა ლაშა ეგაძემ მარცხენა ფლანგზე რომ გაილაღა, ვიტელთა კარის გასწვრივაც ჩინებულად გაგზავნა ბურთი და მამფორიამ ახლოდან გამთანაბრებელი შეაგდო — 1:1.

ამის შემდეგ „სოხუმი" ხანმოკლე, თავისებურ ეიფორიაში აღმოჩნდა, გათამამდა, კიდევ უფრო გაყოჩაღდა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამაც" გამოიდო თავი და მეტოქეს მეტწილად თავდაცვა აიძულა. ვიტელთაგან ლევან კვარაცხელია გამოირჩა აქტიურობით და თამაშის გამწვავებით, სწორედ მან უბოძა საგოლე პასი მარცვალაძეს — მასპინძელთა შემტევმა ერთი შეხებით ცხრიანში მოათავსა ბურთი — უზადო გოლი იყო.

ვიტელებს მანამდეც და მერეც შეეძლოთ გატანა, მაგრამ კვარაცხელიამ და იმედაშვილმა შანსი ვერ გამოიყენეს. ისიცაა, რომ სოხუმელებს ძალიან გამოადგათ ახალშენაძენი — ზვიად ჯელაძე დაცვის ნამდვილ ბურჯად მოგვევლინა.

მატჩის ბოლოს კი „სოხუმს" თითქოს ფხა მოემატა და კონტრშეტევაზე ქულის მომტანი გოლიც შეაგდო — ირაკლი ჭანტურიამ მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში ჩომახიძეს უპასა, მან მარცხნივ რუსიას, რომელმაც ძალიან მახვილი კუთხიდან ოსტატურად გადააზავნა ბურთი მასპინძელთა კარში.

*გოჩა ჟორჟოლიანი:* საინტერესო მატჩი გამოდგა. მეტოქე სეზონისთვის უკეთ მომზადა და გამარჯვების მეტი შანსი ჰქონდა, მაგრამ ისიცაა, რომ ჩვენ პირველ მატჩზე უკეთესად ვითამაშეთ. ვალტერ გუჩუა დღეს იმიტომ არ გვყავდა, რომ მისი საკითხი გაურკვეველია. გიზო ჯელაძის დამატებაც გვინდა და ვნახოთ, რა გამოვა. მამუკა წერეთლის სატრანსფერო ფურცელი ირანიდან იგვიანებს, თემურ გადელიას გადმოყვანა კი ფინანსებზეა დამოკიდებული.

*ნესტორ მუმლაძე:* მოგება შეგვეძლო, მაგრამ ბევრი გამოუცდელი ფეხბურთელი გვყავს და ამის ბრალია, გოლები რომ გავუშვით. ისიცაა, რომ ტრავმირებულნი არიან ალექსანდრე კვახაძე, თენგიზ კობიაშვილი და დავით დილმელაშვილი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი 43-ე დაბადების დღეს ულოცავს ფიფას არბიტრ ალექსანდრე შილაკაძეს და წარმატებას უსურვებს მას.

საქართველოს უმაღლესი მეორე 17 ჩემპიონატი ლიგა ეტაპი 2 ტური

# სიცხე მაგარი იყო, თამაში ...



„ბორჯომ" — „კოლხეთის" ძიძგილაობაში „მასპინძლებმა" იძალეს

თბილისი. 6 აგვისტო. 17.30 საათი. ოლიმპი. 500 (ტევადობა 3 000)

## ბორჯომი 1:0 კოლხეთი

1:0 ბურნაძე (71)

**ბორჯომი:** მამალაძე, მემარნიშვილი, ს. ბურნაძე, ლ. ქელიძე, ბაქრაძე, მესხი, შ. ჯიქია (გვირჯიშვილი 46), გენაძე, გაბისკირია, თ. აფციაური, გ. ქორიძე (ნასყიდაშვილი 86)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მიქიაშვილი, რ. ჯიქია, დ. გოგიჩაიშვილი
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**კოლხეთი:** ლატარია, გ. კილასონია, ჯ. შალამბერიძე, ქუტიძე, თურქია (გ. სახოკია 28), ფარულავა, კრასოვსკი (ყურაშვილი 75), სამსეიშვილი (გ. ტყებუჩავა 35), ვართაგავა, მარგალიტაძე, ზ. ქუთათელაძე
*სათადარიგონი:* მიქავა; ლოლუა, ცეცვაშვილი, ნაბრია
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**გაფრთხილება:** შალამბერიძე (21), გაბისკირია (37)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. ასკაროვლი (ქარელი)

**ინსპექტორი:** ო. გუნთაძე




ორი სოსო, ფილია და ფრუიძე, ერთზე შეთანხმდა: ძალიან ცხელოდა

**გიორგი ვაშაკიძე**

**...თამაშის** დაწყებამდე სტუმარიც და მასპინძელიც, აუტანელ სიცხეს უჩიოდა. მაგრად დაისიცხა ისანში შეკრებილი ხუთასიოდე მაყურებელიც.

მასპინძელი კი წლეულს უმაღლეს ლიგაში აღზევებული „ბორჯომი" გახლდათ — მოგეხსენებათ, ბორჯომის სტადიონზე რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. „ოლიმპის" გაზონით აღფრთოვანებული ბორჯომელი ძმაკები კი გვარწმუნებდნენ, სულ მალე უკეთესი თუ არა, ასეთი მინდვრის საფარი ჩვენც გვექნებაო.

ბორჯომელთა მწვრთნელ სოსო ფრუიძეს ერთი პრობლემა თამაშის დაწყებამდე შექმნა — გუნდის ძირითადმა ფორვარდმა რევაზ ჯიქიამ მოთელვაზე ტრავმა მიიღო, რამაც ფრუიძე აიძულა, სასტარტო თერთმეტეულში კვიპროსმოვლილი გიორგი ქორიძე დაეყენებინა.

საკუთრივ თამაშზე კი რა უნდა ითქვას, როგორ ტემპშიც დაიწყო, ისევე ჩამთავრდა. სიცხისგან გათანგულ ფეხბურთელებს მოძრაობა უჭირდათ.

ფრუიძემ 4-5-1 სისტემით განალაგა გუნდი, რასაც კოლხთა თავკაცმა სოსო ფილიამ იგივენაირი სქემა დაუპირისპირა.

ჩანდა, „კოლხეთი" თბილისიდან ქულის წაღებაზეც ყაბულს იყო და ფოთელებმაც თამაში კონტრშეტევებზე ააწყვეს. წინა ტურში ბათუმში დამარცხებულ ბორჯომელებს კი მოგება სწყუროდათ და საწადელს მიაღწიეს კიდეც.

სოსო ფილიამ პირველივე ტაიმში ორი მოთამაშე შეცვალა, იგრძნო, რომ თურქია თავს ვერართმევდა დავალებას და მას გიორგი სახოკია შეუნაცვლა. შვიდ წუთში კოლხთა თავკაცმა თავდასხმა ორ კაცზე გადააწყო, საყრდენი სამსეიშვილი გიორგი ტყებუჩავათი შეცვალა. ტყებუჩავამაც, რომელიც ზვიად ქუთათელაძეს შეუწყვილდა, ორჯერ ჩინებული რეიდი განახორციელა და დამაგვირგვინებელ ფაზაში ოდნავ ფხა რომ გამოეჩინა, ანგარიშს უეჭველად გახსნიდა.

პირველ ტაიმში ღირებული, უფრო ზუსტად, რეალური საგოლე მომენტი ბორჯომელ ქორიძეს ჰქონდა, როცა შოთა ჯიქიას პასს თერთმეტი მეტრის ნიშნულთან დახვდა, მაგრამ გიორგის დარტყმა გაუცუდდა — ბურთი მეკარე ლევან ლატარიას ლუკმა შეიქნა.

ეს ყველაფერი 41-ე წუთზე ჩავინიშნე, მანამდე კი იყო ჯონი შალამბერიძის ჯარიმიდან გასროლილი — ზურაბ მამალაძემ ივარგა.

ერთადერთი გოლი კი ბორჯომელთა მცველმა სანდრო ბურნაძემ შეაგდო: 71-ე წუთია, კოლხთა უკანახაზელი ილია ქუტიძე უწყინარ ვითარებაში შეცდა, ბურთი ფეხზე აეჭრა და რევაზ გეწაძეც მეკარესთან პირისპირ დარჩა — ლატარიამ იყოჩაღა და ბურთი ფეხით კუთხურზე გადააგდო. კუთხურიდან იური გაბისკირიას ჩაწოდებულ ბურთს მეკარის საჯარიმოში თავით პაატა გვირჯიშვილი აგდებს... ბურნაძემაც ბურთს ფეხი მიჰკრა — 1:0 და მთელი „ბორჯომი" სიხარულისგან გადაირია.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სოსო ფილიამ სეხნია კოლეგა ფრუიძეს გამარჯვება მიულოცა, ორივე მწვრთნელის ნათქვამის არსი კი ეს გახლდათ: „მაგარი სიცხე იყო".

თბილისი. 6 აგვისტო. 17.45 საათი. შევარდენი. 500 (ტევადობა 2 000)

## სპარტაკი 0:0 ბათუმი

**სპარტაკი:** ნადირაძე, ელიზბარაშვილი, ჯანგიძე, თ. მჭედლიშვილი, ა. იმნაიშვილი, კოტრიკაძე (ურუშაძე 89), მალიჩავა, კობალაძე (დემეტრაძე 67), ხუბუა, მაღლაფერიძე (დანელია 85), ლუჭაშვილი
*სათადარიგონი:* ალ. ლაბაძე; ნაზღაიძე, დ. ფიფია, ტაბიძე
**მწვრთნელი:** გიგლა იმნაძე

**ბათუმი:** თოთლაძე, ექონია, გალოგრე, ბეგლარ თედორაძე, შავგულიძე (ი. მახარაძე 57), გ. მანჯავა, ქაცარავა, ბესიკ თედორაძე, დარჩიძე, ფირცხალაიშვილი (კაკალაძე 34), ზირაქიშვილი (დათვაძე 60)
*სათადარიგონი:* ბალაძე; ცანავა, დუმბაძე, მიქაძე
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**გაფრთხილება:** კოტრიკაძე (15), დარჩიძე (18), ზირაქიშვილი (19), მალიჩავა (50), მჭედლიშვილი (85)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ს. გაგნიძე (გორი)

**ინსპექტორი:** გ. ბარქაია; **დირექტორი:** გ. ჯიშკარიანი

# ცოტა თამაში, ცოტა მაყურებელი

## ვისთვის ოდენ ქულა, ვისთვის მართლა ქულა

**კახა შალამბერიძე**

— სათქმელი არაფერი მაქვს, ძალიან ცუდად ვითამაშეთ. გამოდის, რომ დღეს ქულა მოვიპოვეთ — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბათუმელთა თავკაცმა ამირან გოგიტიძემ და მართალიც იყო: სტუმრებს მოძრაობა უჭირდათ, მძიმედ გამოიყურებოდნენ და მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი სახიფათო მომენტი შექმნეს: მიხეილ კაკალაძის პასით კახა ქაცარავამ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ იხეირა. ეს მომენტი მატჩის მიწურულს იყო და, როგორც გითხარით, მანამდე უპირატესობას „სპარტაკი" ფლობდა. ოღონდ ისე არ გაიგოთ, თითქოს მასპინძლები მეტოქეს თავზე ასხდნენ, უბრალოდ, „სპარტაკი" უფრო ფხიანად უტევდა და რამდენჯერმე გოლის გატანაც შეეძლო.

თბილისელთა უპირატესობა განსაკუთრებით პირველ ტაიმში იგრძნობოდა. სტუმრების დუნე მოძრაობით „სპარტაკმა" ვერ ისარგებლა — ვასილ ლუჭაშვილს და დავით მაღლაფერიძეს მიზანი ლალატობდათ და იმიტომ.

„სპარტაკმა" პირველ ტურში გორის „დილასთან" წააგო, „ბათუმმა" კი ამბიციური „ბორჯომი" წააქცია და მატჩისწინა პროგნოზიც სავსებით ლოგიკური ჩანდა — ზღვისპირელები ფავორიტები იყვნენ. ამას მათი შემადგენლობაც მიგვანიშნებდა, თუნდაც სათადარიგოთა სკამს გადავხედოთ: მიხეილ კაკალაძე, ივანე მახარაძე, გიორგი მიქაძე, დავით დათვაძე... როგორია?!

მოკლედ, შედარებითი დახასიათებები ამით ამოვწუროთ და მატჩის მიმდინარეობას მივყვეთ. პირველი ტაიმის ნახევარი თანაბარ ბრძოლაში გაილია, მერე კი „სპარტაკმა" იძალა და ისეთი შტურმიც მიიტანა მეტოქის კარზე, რომ ზედიზედ ოთხი კუთხური ჩააწოდა. ამან ბათუმელები გვარიანად ანერვიულა, თუმცა მათ ბედად მასპინძელთა ჩხვლეტა ჩხვლეტად დარჩა.

მეორე ნახევრის საწყისი წუთები ისევ „სპარტაკისა" იყო, ოღონდ ჩხვლეტებმა საგრძნობლად იკლო. ამირან გოგიტიძემ შეცვლებსაც მიმართა — ივანე მახარაძე და დავით დათვაძე შეუშვა მოედანზე და „ბათუმმაც" „თვალებში გამოიხედა".

ამასობაში „სპარტაკს" მუხლი დაელალა და სული ყელში მიებჯინა. გუნდს აშკარად ეტყობოდა, სეზონისწინა შეკრება რომ არ გაუვლია და თამაშის ტემპმაც იკლო. სტუმრებს სწორედ ამ დროს შეეძლოთ მეტოქის მოგუდვა და შანსიც მიეცათ, თუმცა... ქაცარავას გაცუდებულ მომენტზე თავში მოგახსენეთ.

*გიგლა იმნაძე:* უმაღლესი ლიგის დებიუტანტისთვის „ბათუმთან" აღებული ქულა ცუდი შედეგი არ არის. პირველ ტაიმში გოლის გატანა შეგვეძლო, მერე კი მოუმზადებლობამ იჩინა თავი. მოკლედ, ქულით მაინც კმაყოფილი ვარ. სამწუხარო ისაა, რომ მატჩს ცოტა მაყურებელი დაესწრო.

# ბურნაძეც ბათუმში?

**„ბათუმმა"** ეგებ მოლდოვის „შერიფიდან" წამოსული მურთაზ ბურნაძე შეიმატოს. ახლა მხარეებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს და, როგორც გავიგეთ, დღე-დღეზე კონტრაქტიც გაფორმდება.

ბურნაძე „შერიფში" შარშან გადავიდა თბილისის „ლოკომოტივიდან", თუმცა იქ ერთი სეზონი გაატარა და საქართველოში დაბრუნდა. 20 წლის ნახევარმცველი მიმდინარე შესარჩევ ციკლში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანიც იყო და ამ ცოტა ხნის წინ „ზესტაფონთან" აპირებდა კონტრაქტის გაფორმებას.

**კახა შალამბერიძე**

# ლოკომოტივმა სიჩქარე ვერ აკრიფა
## პირველი ქულა პირველი გოლის მოლოდინში

ქუთაისი. 6 აგვისტო. 17.30 საათი. ტორპედო. 1 500 (ტევადობა 20 000)

### ტორპედო 0:0 ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| **ტორპედო:** რევიშვილი, ებრალიძე, რ. ბარაბაძე, კვერნაძე, ხურცილავა, ბურჯანაძე, ა. ფოფხაძე, ქურციკიძე (კ. შალამბერიძე 46), გორგოძე (ლაღაძე 24), დოლონაძე (მ. ლონლაძე 60), დ. ჯანაშია | **ლოკომოტივი:** გ. ჭანტურია, გ. ონიანი, მახვილაძე, საჯაია, სეთურიძე, ინომოვი (თავბერიძე 78), დ. ფოფხაძე, ქებაძე, სირაძე, ფურთუხია (ალავერდაშვილი 27; ჩივაძე 65), კახელიშვილი |
| *სათადარიგონი:* გ. ბარაბაძე; ჯავოიანი, კავთელაძე, კეტაშვილი | *სათადარიგონი:* ზ. ჩილაძე; ყოფიანი, ღლონტი, ჯიშკარიანი |
| **მწვრთნელი:** რევაზ ბურკაძე | **მწვრთნელი:** ნოდარ აკობია |

**გაფრთხილება:** ბურჯანაძე (33), ქებაძე (44), საჯაია (73, 74), ჯანაშია (87)

**გაძევება:** საჯაია (74)

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე (თბილისი), ჯ. ბუაშვილი (ჭიათურა)

**ინსპექტორი:** ს. კვარაცხელია; **დირექტორი:** ე. თევზაძე

**ზაზა ცინცაძე** ქუთაისიდან

**სომხურ** „ბანანციან" განცდილი ფიასკოს შემდეგ „ლოკომოტივი" კიდევ ვერ გამოსულა შოკიდან. საქართველოს თასის მფლობელებმა ჭაბუკებით დაკომპლექტებულ „ტორპედოს" ვერაფერი დააკლეს.

თავის მხრივ, ახალგაზრდა რიონისპირელებმა მეტოქეს გოლი ვერ გაუტანეს, მაგრამ არც საკუთარ კარში მიუღიათ, რაც მასპინძელთა აქტივში უნდა ჩაითვალოს.

პირველი ტაიმის პირველი ნახევარი მოედნის ცენტრში პოზიციურ ბრძოლებში გაილია. გამონაკლისი იყო დავით სირაძის სოლორეიდი — მან ქუთაისელთა საჯარიმოში ორი მცველი მოატყუა, მაგრამ მის დარტყმულს სიძლიერე და სიზუსტე აკლდა.

26-ე წუთზე კი „ლოკომოტივს" ერთხელაც შეეძლო, ანგარიშიც გაეხსნა, როცა დაჩი ფოფხაძის კუთხურიდან ჩაწოდებულს გიორგი ონიანმა თავი დაუხვედრა, მაგრამ მასპინძლები ძელმა იხსნა.

შესვენების შემდეგ „ლოკომოტივმა" კიდევ უფრო უმატა შეტევებს და თითქოს გოლს ბევრიც არაფერი უკლდა — დავით სირაძემ „ტორპედოს" საჯარიმოს სიახლოვიდან ძლიერად დაარტყა ნუკრი რევიშვილის კარში, ბურთი ხარიხას მოხვდა და თითქოს კარის ხაზიც გადაკვეთა... გაურკვევლობას წერტილი ლაინსმენმა დაუსვა, რომელმაც ალამი აღმართა და წესების დარღვევა დააფიქსირა.

რევაზ ბურკაძემ შეცვლები ჭკვიანურად განახორციელა და ქუთათურებიც მეტოქეს არ ეპუებოდნენ და თავგამოდებით ებრძოდნენ, თუმცა ისევ „ლოკომოტივს" შეეძლო გოლის გატანა — გიორგი სეთურიძემ ვერ გამოიყენა უზბეკი ისლომ ინომოვის პასი და ბურთი ისევ და ისევ ძელს გაარტყა.

ამის შემდეგ „ტორპედოს" შეეძლო, მეტოქე დაესაჯა, ალექსანდრე ლაღაძემ კარგად უპასა დავით ჯანაშიას, რომელსაც ბურთი აეჭრა და უცნაური ტრაექტორიით კინაღამ გრიგოლ ჭანტურიას კარის ბადეში გაახვია...

73-ე წუთზე სტუმრები ათი კაცით დარჩნენ მოედანზე — ორი ყვითელი ბარათის გამო მინდორი ედიკ საჯაიას დაატოვებინეს. „ტორპედოც" რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებას შეეცადა და უფრო მწვავედ შეუტია მეტოქეს, მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდა.



გიორგი კახელიშვილის „ლოკომოტივმა"
კახა ებრალიძის „ტორპედოს" ვერაფერი დააკლო

### პრესკონფერენცია

*ნოდარ აკობია:* ჩემპიონატის სტარტი აშკარად ჩავაგდეთ. ვეცდებით, თამაშის ხარისხი მომავალ ტურებში გავაუმჯობესოთ. „ტორპედოს" კი ვულოცავ ჩემპიონატში მოპოვებულ პირველ ქულას.

*რევაზ ბურკაძე:* „ლოკომოტივი" გასულ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე დაბალანსებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ალბათ გუნდმა კიდევ ვერ გადალახა ფსიქოლოგიური ბარიერი უეფას თასზე განცდილი მარცხის გამო.

ჩვენს გუნდში მრავლად არიან პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელები. მოკლე ხანში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს დავიმატებთ, ასე რომ, „ტორპედო" პირველი წრის შემდეგ ხელწამოსაკრავი გუნდი არ იქნება.

ბოლნისი. 6 აგვისტო. 17.30 საათი. თამაზ სტეფანია. 500 (ტევადობა 3 500)

### სიონი 2:0 დილა

1:0, 2:0 დვალი (45პ, 77)

| | |
|---|---|
| **სიონი:** ბობლიაშვილი, კობაური, სვანიძე, ჩიკვილაძე, რაქვიაშვილი, გ. დოლიძე (ოქრომირიძე 65), ხმალაძე, კვიტაიშვილი (ქუცურუა 55), ბოლქვაძე, დვალი, მიკუჩაძე (ქარდავა 58) | **დილა:** თ. ილურიძე, ლ. გოჩაშვილი, ქარქუზაშვილი, კობახიძე, ხაჭაპურიძე, რევაზიშვილი (დ. ნადირაძე 67), შატაკიშვილი, კ. ხანიშვილი, მ. თაყაძე, სულთანიშვილი, ალ. ლაბაძე (წუწუნავა 80) |
| *სათადარიგონი:* გავაშელი; ჩაჩუა, კორხანტია, ავალიანი | *სათადარიგონი:* ნასყიდაშვილი; სავვარელიძე, მასურაშვილი |
| **მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი | **მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე |

**გაფრთხილება:** კობაური (17), ილურიძე (20), გოჩაშვილი (36), მიკუჩაძე (85), ხანიშვილი (85)

**გაძევება:** სულთანიშვილი (58)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** ა. შალამბერიძე

# დვალის დაველური
## სიონმა დილას გოლი დაუგვიანა

**კობა ინასარიძე** ბოლნისიდან

**პირველ** ტურში „ლოკომოტივთან" სტუმრად ქულამოპოვებული „სიონისგან" და გორში „სპარტაკთან" მოგებული „დილასგან" ციდან ვარსკვლავების ჩამოკრეფას, აბა, ვინ ელოდა, მაგრამ არც მთლად ისეთი მოსაწყენი თამაში უნდა გამოსულიყო, როგორიც ვნახეთ. ისე კი, 43-გრადუსიანი სიცხის კვალობაზე ფეხბურთელებმა კიდევ ბევრი მოახერხეს.

წინა სეზონის შემდეგ ფაქტობრივად მთლიანად შეცვლილმა „სიონმა" მეტოქე უპრობლემოდ, ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე დაამარცხა. ეგ იყო, ბოლნისელებს გოლის გატანა გაუჭიანურდათ და ეს ტაიმის ბოლო წუთზე, პენალტით შეძლეს.

თუმც იქამდე მასპინძლებმა იმდენი რეალური საგოლე მომენტი გაანიავეს, კაცს სათვალავი აგერეოდა. ქუთაისის „ტორპედოდან" „სიონში" ახლახან გადასული დავით ბოლქვაძის ჩინებული პასებით გრიგოლ დოლიძეს, კოკა მიკუჩაძესა და ჯაბა დვალს რამდენჯერმე შეეძლოთ გატანა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ბოლო იმედის ჯარიმისთვის არბიტრს „დილას" მეკარის გაძევებაც შეეძლო, როცა მან საჯარიმოს ხაზთან პირისპირ შეყრილი მიკუჩაძე წააქცია, თუმცა მალხაზ მაისურაძემ თამაზ ილურიძეს ოდენ ყვითელი აკმარა.

პირველი გოლი კი ჯაბა დვალმა სწორედ ბოლქვაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით შეაგდო. „დილას" მაინცდამაინც დიდი ხიფათი არ ემუქრებოდა, როცა კობა ხანიშვილი მასპინძელთა გამთამაშებელს ეუხეშა და მაისურაძემაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი.

მოედანზე საერთო სურათი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. „სიონი" ბევრს, მაგრამ უმარილოდ უტევდა, „დილა" დაცვაზე უფრო ზრუნავდა, ხეირიანი შეტევა სტუმრებს არ გამოსდიოდათ და საამისოდ არც ნამეტანი მოწადინება ეტყობოდათ. სიცხისგან გათანგული 500-მდე ქომაგი კი მაშინ გამოფხიზლდა, როცა კუთხურიდან იმავ ბოლქვაძის ჩაწოდებულს დვალმა მიაყოლა თავური და — 2:0.

ისე კი, მატჩი, ფაქტობრივად, მაშინ დამთავრდა, საბა სულთანიშვილმა არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა რომ მიაყენა და წითელი ბარათი დასტყუა.

გორი. 6 აგვისტო. 17.30 საათი. ქართლი. 100 მაყურებელი

### ცხინვალი 0:1 კახეთი

0:1 ბურდული (43)

| | |
|---|---|
| **ცხინვალი:** ქესანაშვილი, ქობესაშვილი, ლომიძე, მ. მაისურაძე, ფერსაევი (ეჯოშვილი 60), მოსიაშვილი, გამცემლიძე, დ. ხანიშვილი, გ. ჩიტაია (ბოლოთაშვილი 83), ბაკარანაძე, ბ. ჩიტაია | **კახეთი:** გ. იაშვილი, ლაბაძე, ტარუღაშვილი, ნადირაშვილი, კუპრაშვილი, კობაიძე, დავითაშვილი, კეელიშვილი (ბურნაძე 80), ბურდული (იმერლიშვილი 60), გელაშვილი, მეტრეველი (ტეტიაშვილი 46) |
| *სათადარიგონი:* სოლოღაშვილი; გ. მაისურაძე, შუბითიძე, ხოხობაშვილი, აბრამიშვილი | *სათადარიგონი:* ძამუნაშვილი; ბიძინაშვილი, ამირანიძე, იოსებაშვილი |
| **მწვრთნელი:** ზურაბ მაისურაძე | **მწვრთნელი:** ოთარ კორღალიძე |

**გაფრთხილება:** მოსიაშვილი (42), გ. ჩიტაია (51), ქობესაშვილი (59), დავითაშვილი (88)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი), კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა

# ცხელა-ნელა

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**გორის** „ქართლზე" გამართულ პირველ უმაღლესლიგურ მატჩს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი გრიგოლ ცაავა და შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელიც დაესწრნენ.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ხვატმა გვარიანი გავლენა იქონია ფეხბურთელებზე და თამაშიც ნელზე ნელი იყო.

უკვე მე-8 წუთზე ცხინვალელ პაატა ბაკარანძეს ორჯერ მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ სტუმართა მეკარე გიგა იაშვილი ორჯერვე უშეცდომო იყო. ცოტა ხანში კი იმავ ბაკარანძის დარტყმული ხარიხას მოხვდა.

„ცხინვალის" შეტევებს სტუმრები იშვიათად პასუხობდნენ და ისიც კარში შორეული დარტყმებით, ტაიმის მიწურულს კი მასპინძელთა კარში საკმაოდ კურიოზული გოლი გავიდა — 43-ე წუთზე აუტიდან პირდაპირ „ცხინვალის" საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი დასწრებაზე მოთამაშე ბურდულმა თავით გაგზავნა მასპინძელთა კარში, ქესანაშვილი თითქოს დაეუფლა ბურთს, მაგრამ მოულოდნელად ხელიდან გაუვარდა და 0:1.

მეორე ნახევარი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. 50-ე წუთზე ბექა ჩიტაიას დარტყმული იაშვილმა ნახტომში მოიგერია, სამ წუთში კი დავით ხანიშვილმა ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში, მაგრამ ბაკარანძემ ვერ მიუსწრო ბურთს.

მალე ისევ ბექა ჩიტაიას მიეცა შანსი, მაგრამ მისი დარტყმა არაზუსტი გამოდგა. საპასუხო გოლის სწრაფად ვერგატანამ და გამოუყენებელმა მომენტებმა მასპინძლები ზედმეტად აანერვიულა, მათმა შეტევებმა ქაოსური ხასიათი მიიღო, ფეხბურთელები მარტივ სიტუაციებში ცდებოდნენ. სტუმრები კი ზუსტად იცავდნენ თავს და სასურველი ანგარიშის შენარჩუნებაც მოახერხეს.

### პრესკონფერენცია

*ოთარ კორღალიძე:* კარგი ბრძოლა იყო. „ცხინვალი" მომავალში და მომდევნო ტურებში წარმატებას ვუსურვებ.

*ზურაბ მაისურაძე:* მძიმე თამაში იყო და ამას ველოდით კიდეც. წინ ბევრი გვაქვს და ვეცდებით, მომავალში გამოვასწოროთ.

## გერმანია

### ბუნდესლიგა. I ტური

**ბაიერნი 3:0 გლადბახი**

1:0 ჰარგრივსი (28), 2:0, 3:0 მაკაი (86, 89)
ბაიერნი: კანი, ლუსიო, სანიოლი, ისმაელი, ჰარგრივსი, დემიკელისი, სალიჰამიჯიჩი (ლიზარაზუ 46), დაისლერი (კარიმი 46), ბალაკი, მაკაი, სანტა კრუზი (იერემისი 74)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გლადბახი: კელერი, შტრასერი, იანსენი, ბოგელუნდი, ჰელვეგი (ზე ანტონიო 44), უდე კამპიუსი, კლუგე, ბროიხი (ელბერი 72), სვერკოში, ჰაინცლი, ნოივილი
მწვრთნელი: ჰორსტ კიოპელი
გაფრთხილება: უდე კამპიუსი, კლუგე, ლუსიო, ბალაკი
გაძევება: ისმაელი (43)
მსაჯი: გრეფე
66 000 მაყურებელი

**ვერდერი 5:2 არმინია**

1:0 კლოზე (1), 1:1 კრუპნიკოვიჩი (12), 2:1 კლასნიჩი (18), 2:2 ზუმა (31), 3:2 ბაუმანი (36), 4:2 კლოზე (82), 5:2 კლასნიჩი (84)
ვერდერი: რაინკე, პასანენი, დავალა (ოვემაიოლა 85), ნალდო, შულცი (ვან დამი 61), ფრინგსი, ბაუმანი (ვრანიეში 45), ბოროვსკი, მიკუ, კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
არმინია: ჰაინი, ვესტერმანი, ბორგესი, რაუ, კორჟინეცი, ფინკი, კრუპნიკოვიჩი, დამაირი (პორჩელო 63), ზუმა (ბოაკი 74), კუნცელი, ვატა
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
გაფრთხილება: ბორგესი
მსაჯი: ზიპელი
8 156 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:2 დორტმუნდი**

1:0 კლიმოვიჩი (9), 1:1 შმოლარეკი (55), 1:2 კოლერი (81), 2:2 ჰოფლანდი (82)
ვოლფსბურგი: იენჩი, ჰოფლანდი, კარჰანი, კიროგა, ვან დერ ჰეიდენი (ვაიზერი 18), სარპეი (მენსეგეში 61), ტიამი, ცქიტიშვილი, დალესანდრო, ჰანკე, კლიმოვიჩი (ტოპიჩი 87)
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, მეცელდერი, ვიორნსი, დედე, დეგენი, კრინგე, საჰინი, როსიცკი, შმოლარეკი, ბაკლი (გამბინო 81), კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: საჰინი, ჰოფლანდი, კლიმოვიჩი
მსაჯი: შტარკი
23 368 მაყურებელი

**ჰამბურგი 3:0 ნიურნბერგი**

1:0 მპენზა (3), 2:0, 3:0 ბარბარესი (45, 60)
ჰამბურგი: ვეხტერი, დემელი, კინგბეილი, ატუბა, ბ. რეინჰარდტი, იაროლიმი, ვიკი, ბაინლიხი, ვან დერ ვაარტი (ტროხოვსკი 71), ე. მპენზა (ტაკაჰარა 81), ბარბარესი (ლაუტი 64)
მწვრთნელი: თომას დოლი
ნიურნბერგი: შეფერი, კანტალუპი, ლენსე, ბოსაკი, ლ. მიულერი, პოლაკი, მნარი (ს. მიულერი 76), ჩიდლი (პინოლა 61), მინტალი, ვიტეკი, შროტი (კესლინგი 61)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: შროტი, იაროლიმი, ვან დერ ვაარტი, შეფერი
მსაჯი: მერკი
41 877 მაყურებელი

**ჰანოვერი 2:2 ჰერტა**

0:1 მარსელინიო (49), 0:2 ვიშნიარეკი (54), 1:2 დაბროვსკი (66), 2:2 ტარნატი (87)
ჰანოვერი: ენკე, ზურავი, მერტესაკერი, ბალიჩი, ტარნატი, იანკოვი, ლალა, დაბროვსკი, შტაინერი, ბრდარიჩი, ჰაშემიანი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ჰერტა: ტრემელი, ვან ბურიკი, ა. ფრიდრიხი, მადლუნგი, სიმუნიჩი, ო. შრიოდერი, ნ. კოვაჩი, ჟილბერტო, მარსელინიო (დარდაი 90), რაფაელი (ოკორონკო 90), ვიშნიარეკი (ნოიენდორფი 76)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: შტაინერი, ჰაშემიანი
მსაჯი: კირხერი
40 473 მაყურებელი

**დუისბურგი 1:1 შტუტგარტი**

0:1 კაკაუ (5), 1:1 აბანფუფი (31)
დუისბურგი: კოხი, მიორლე, ბაელუმი, ვოლტერსი, ბუგერა, გრლიჩი, ვილი (რიტპიჩი 89), ჰაუსვაილერი, აბანფუფი, მიხალკე (ვან ჰუდტი 71), კურტი (ლავიჩი 71)
მწვრთნელი: ნორბერტ მეიერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ბაბელი, ჰინკელი, ფ. მეირა, შტრანცლი, გენტნერი, მაისნერი, სოლდო (გომესი 65), ჰიტცლშპერგერი (გრონკიაერი 65), კაკაუ, ტომასონი
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
გაფრთხილება: ბუგერა, ჰაუსვაილერი, კურტი, ვილი, ბაელუმი, ჰინკელი, შტრანცლი, გომესი
გაძევება: კაკაუ (68)
მსაჯი: ბრიხი
28 443 მაყურებელი

**კიოლნი 1:0 მაინცი**

1:0 შლიკე (87)
კიოლნი: ვესელსი, მატიპი, შლიკე, სინკლეჩიჩი, სპრინგერი, სინკალა, გრამოცისი (ტოპოლი 67), ფულნერი, შტრაიტი, პოდოლსკი (ელმესი 80), პ. მადსენი (გიე-მიანი 75)
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
მაინცი: ვახე, აბელი, ნოვაკი, მ. ფრიდრიხი, ვაიგელტი (ბოდოგი 90), ფ. გერბერი (ნ. ვაილანდი 64), ბაბატცი, და სილვა, რუმანი (ადო 80), ტურკი, აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: გრამოცისი, სპრინგერი, ტურკი, ბაბატცი, ადო
მსაჯი: რაფატი
50 374 მაყურებელი

**შალკე 2:1 კაიზერი**

0:1 ჰალილ ალტინტოპი (33), 1:1 ლარსენი (79), 2:1 კრსტაიჩი (83)
შალკე: როსტი, ჰამიტ ალტინტოპი, კრსტაიჩი, ბორდონი, კობიაშვილი, პაულსენი, ერნსტი, ბაირამოვიჩი (ლარსენი 75), სანდი, ასამოა (ვარელა 58), კურანი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
კაიზერი: მახო, ბლეჩი, მეტომო, ლუნდი (მერჩი 46), ბლანკი, სფორცა, ენგელჰარდტი, შკელა, ზაიცი, ჰალილ ალტინტოპი (ტრიდლი 46), იანკერი (სანოგო 83)
მწვრთნელი: მიხაელ ჰენკენი
გაფრთხილება: კრსტაიჩი, იანკერი
მსაჯი: ვოკი
61 000 მაყურებელი

**აინტრახტი 1:4 ლევერკუზენი**

1:0 ვასოსკი (7), 1:1 დერბატოვი (24), 1:2 ვორონინი (48), 1:3 ბ. შნაიდერი (56), 1:4 კრჟინოვეკი (59)
აინტრახტი: პროლი, რემერი, სპიხერი, პრეუბი (ამანატიდისი 62), ოვსი, ჰუგელი, ვასოსკი, დუ რი ჩა, ა. მაიერი, ჯონსი, ვან ლენტი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ლევერკუზენი: ბუტი, კასპრო, როკე ჟუნიორი, ჟუანი, ატირსონი, ფრაიერი (ბარნეტა 86), რამელოვი, ბ. შნაიდერი, კრჟინოვეკი (ბაბიჩი 83), ვორონინი (როლფსი 78), ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ამანატიდისი
მსაჯი: მეირეი
42 000 მაყურებელი

# ბუნდესლიგა აგუგუნდა



მიროსლავ კლოზემ სეზონი დუბლით გახსნა

„ბაიერნის" ახალ სტადიონ „ალიანს არენაზე" პირველი, ისტორიული გოლი ოუენ ჰარგრივსმა გაიტანა, მიუნხენელებმა კი „ბორუსია" მიანგრიეს და სამი ქულა მიითვალეს.

ვალერიან ისმაელმა „ბაიერნული" კარიერა ყვითელ-წითლად დაიწყო. ფრანგი მცველი მეათე წუთზე გააფრთხილეს, ტაიმის მიწურულს კი ოლივერ ნოივილს ფეხი ჩასცხო და გააძევეს.

ისმაელის გაძევებამდე ოუენ ჰარგრივსმა ბრწყინვალე გოლი შეაგდო. მან როკე სანტა კრუზისგან პასი მიიღო, საკუთარი ნახევრიდან მეტოქის საჯარიმო ხაზამდე იარა და მარჯვენით კეისი კელერს გაუტანა.

შესვენების შემდეგ მაგათმა სალიჰამიჯიჩის ნაცვლად ბიქსენტ ლიზარაზუ შეუშვა, სებასტიან დაისლერი კი ალი ქარიმით შეცვალა, რომელსაც აზიელ მარადონას უწოდებენ.

„ბაიერნს" კაცნაკლულობა არ დასტყობია, 74-ე წუთზე იენს იერემისის შესვლის შემდეგ მასპინძლებმა კიდევ უფრო გაილაღეს, როი მაკაიმ ჯერ იერემისის, მერე კი დემიკელისის პასით მიჯრით ორი გოლი მიითვალა და ბუნდესჩემპიონმა სეზონში პირველი გამარჯვება გაიფორმა.

„მეორე გოლის გატანამდე გაგვიჭირდა, მაგრამ ათი კაცითაც თავს კარგად ვიცავდით — თქვა ფელიქს მაგათმა — თერთმეტნი რომ ვყოფილიყავით, გაცილებით უკეთ ვითამაშებდით".

ფეხბურთის დანატრებულმა „ვერდერმა" და „არმინიამ" პირველივე ტაიმში ორ-ორი გოლი გაცვალეს. მიროსლავ კლოზემ თამაშის დასაწყისშივე გახსნა ანგარიში, მაგრამ ნებოისა კრუპნიკოვიჩმა მალევე გაათანაბრა. ბრემენელებმაც არ დაახანეს და კრისტიან შულცის პასით ივან კლასნიჩმა მასპინძლები კვლავ დააწინაურა.

„არმინიას" ახალწვეულმა სიბუსისო ზუმამ ბრემენელთა დებიუტანტი მცველის ნალდოს შეცდომით ისარგებლა და რეინკესთან პირისპირ გავიდა — 2:2. არადა, თომას შააფი სეზონის დაწყებამდე ნალდოს აქებდა, უნიჭიერესი ფეხბურთელია, მსგავსი აქამდე არ მინახავსო.

„მუსიკოსებმა" შესვენებამდე მესამე მაინც გაიტანეს. ფრანკ ბაუმანმა ტორსტენ ფრინგსის ჩაწოდებული ბურთი მატიას ჰაინის კარში შეაბრძანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „არმინიამ" ორი ნაღდი საგოლე მომენტი გაანიავა, ხოლო „ვერდერის" ფორვარდებმა მიროსლავ კლოზემ და ივან კლასნიჩმა თამაშის მიწურულს თავიანთი შანსები გამოიყენეს.

ბერლინის „ჰერტას" ორბურთიანი უპირატესობა ჰანოვერში უცბად გაქრა. არნე ფრიდრიხის პასით დედაქალაქელები მარსელინიომ დააწინაურა, ხოლო ვიშნიარეკმა ნანდო რაფაელისგან მიღებული ბურთი ააფართხალა დამხვდურთა კარში.

ჰანოვერელებმა ამის შემდეგ „დაქოქეს" და გაათანაბრეს. ჯერ კრისტოფ დაბროვსკიმ იხეირა, მერე მიხაელ ტარნატმა გაიტანა და მასპინძლებს ქულა მოუტანა.

ვოლფსბურგში ლევან ცქიტიშვილის ბუნდესლიგური დებიუტი შედგა. „მგლებმა" კი კევინ ჰოფლანდის გოლით დორტმუნდის „ბორუსიას" ქულა დასცინცლეს.

ანგარიში მასპინძლებმა მეცხრე წუთზე გახსნეს. ანდრეს დალესანდროს ნაკუთხურიდან ბურთი მაიკ ჰანკემ დიეგო კლიმოვიჩს დაუგდო და არგენტინელმა ვაიდენფელერს გაუტანა.

სტუმრამ ებე შმოლარეკმა მეორე ტაიმის დასაწყისში კოლერის პასით გაათანაბრა, მოგვიანებით კი თვითონ ჩეხმა გიგანტმაც იხეირა. თუმცა წუთის შემდეგ კევინ ჰოფლანდმა ვაიდენფელერის შეცდომის ისარგებლა და გაქვითა.

ბუნდესდებიუტანტმა „დუისბურგმა" „შტუტგარტთან" წიხლაობა გამართა, რასაც რვა ყვითელი და ერთი წითელი ბარათი მოჰყვა. დუისბურგელები ხუთჯერ გააფრთხილეს, სტუმრები კი სამჯერ, ხოლო შტუტგარტელი კაკაუ მეორე ტაიმში გააძევეს. სწორედ კაკაუმ დააწინაურა თავისიანები მეხუთე წუთზე, „დუისბურგმა" კი ალდელახიზ აბანფუფის წყალობით გაათანაბრა.

საკმაოდ გაუჭირდა ლევან კობიაშვილის „შალკეს". თუმცა გელზენკირხენელებმა ლამის წაგებულ მატჩში 3 ქულის აღება მაინც შეძლეს.

ჰალილ ალტინტოპის აღრეულ გოლს ჯერ შეცვლაზე რამდენიმე წუთის შესულმა ლარსენმა უპასუხა. რამაც გამარჯვებას შეგუებული სტუმრები გატეხა და კრსტაიჩმა „შალკეს" 3 ქულა მოუტანა.

მოულოდნელად დაიწყო მატჩი ფრანკფურტშიც. თუმცა „ლევერკუზენი" გონს მალევე მოეგო და ბუნდესლიგაში დაბრუნებულ „აინტრახტს" ბდღვირი ადინა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| საბოლოო ცხრილი | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვერდერი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 ლევერკუზენი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 |
| 3 ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 ჰამბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 შალკე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 კიოლნი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 ჰანოვერი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 ვოლფსბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 დორტმუნდი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 10 ჰერტა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 11 დუისბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 შტუტგარტი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 ლაუტერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 14 მაინცი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 15 არმინია | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 0 |
| 16 აინტრახტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 17 ნიურნბერგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 18 გლადბახი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |

## მეორე ბუნდესლიგა

### I ტური

**კოტბუსი 2:1 ბრაუნშვაიგი**

0:1 რიშე (21), 1:1 ბერჰარტერი (71), 2:1 კიოიო (88)

**ფიურტი 3:1 დინამო**

1:0 ერსეგი (4), 1:1 ბრინკმანი (79), 2:1 ტიმი (84), 3:1 ბარუტი (90)

**ზაარბრიუკენი 0:4 ბოხუმი**

0:1, 0:2 ედუ (51, 63), 0:3, 0:4 მისიმოვიჩი (79, 90)

**ფრაიბურგი 2:1 ბურგჰაუზენი**

1:0 კულიბალი (33), 1:1 კრეიცი (65), 2:1 ანტარი (82)
ფრაიბურგი: ვალკე, მუჰამედი, ბალტე (დიარა 90), ოლაიენგბესი, აოგო, იბერსტბერგი (ჰერმელი 85), რიტერი, სანუ (ანტარი 80), კულიბალი, ტანკო, იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

**ალენი 1:2 მიუნხენი**

1:0 ველკობორკი (16), 1:1 კოსტა (60), 1:2 კოლომაზნიკი (89)

**ჰანზა 1:2 ოფენბახი**

1:0 დისალვო (26), 1:1 ვასენფელდტი (59), 1:2 ვიორლე (88)

**კარლსრუე 2:0 ზიგენი**

1:0 შვარცი (11), 2:0 ფედერიკო (59)

**უნტერჰახინგი 3:0 პადერბორნი**

1:0 ნდიაე (23), 2:0 აიგანი (63), 3:0 ტაინერდტი (80)

**აუე — ალემანია**

*დღეს გაიმართება*

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### III ტური

ფორტუნა — ესენი 2:4; ემდენი — ზტ. პაული 0:4; ვუპერტალი — ოსნაბრუკი 1:4; ობერჰაუზენი — ვატენშტაიგი 1:3; ლევერკუზენი (მ) — კილი 0:1; ლიუბეკი — კიოლნი (მ) 4:1; ერფურტი — ჰამბურგი (მ) 2:0; ჰერტა (მ) — კარლ ცაისი 1:3; მიუნსტერი — ქემნიცი 2:1

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### I ტური

ელვერსბერგი — კარლსრუე (მ) 3:0; ჰოფენჰაიმი — კაიზერი (მ) 2:1; ფულენდორფი — ვენი 1:1; დარმშტადტი — აალენი 2:1; ჰესენი — ტრირი 3:2; კობლენცი — შტუტგარტი (მ) 2:2; ბაიერნი (მ) — რეგენსბურგი 1:0; აუგსბურგი — მიუნხენი (მ) 2:1; ბაირუტი — ეშბორნი 2:2

# აბა, 15 მეტრზე მნახე ვინა ვარ.
## შავებს და წითლებს ასაკი არ აშინებთ

„მილანის" ბრაზილიელი მცველის, მარკოს კაფუს ისედაც ჩინებული კარიერა ერთიორად მას მერე გაბრწყინდა, რაც ივი „შავწითელთა" გუნდში გადავიდა. დღეს ეს დაუღალავი ადამიანი ყოფილ თანაგუნდელებს, იტალიელ ანტონიო კასანოსა და თანამემამულე რონალდოს მის მიერ განვლილი გზის გამეორებას ურჩევს.

„კასანო მილანის მაისურაში რომ ვნახო უბედნიერესი კაცი ვიქნები, — ილიმება „რომას" გმირყოფილი, — ანტონიო დიდებული ფეხბურთელია. შესაძლოა სიმაღლეების ადრეულ ასაკში დაპყრობამ ცოტა თავისებური ხასიათი ჩამოუყალიბა, მაგრამ მოედანზე ნამდვილად ფასდაუდებელია, შეტევებს სიღრმიდანაც იწყებს და დამაგვირგვინებელ ფაზაშიც ჩინებულია. მისნაირი მოთამაშე „მილანის" დარ სტრუქტურაში შესაძლოა ლეგენდარულ ფეხბურთელადაც კი იქცეს."

მოგეხსენებათ, ანტონიო კასანოს „რომადან" წასვლაზე კარგა ხანია ლაპარაკობენ. შესაძლო მყიდველთა შორის ასახელებდნენ „იუვენტუსს", „ჩელსის" და კაფუს საყვარელ „მილანსაც", მაგრამ ამ ზაფხულს უეფამ რომაელები დასაჯა — საქმე ფრანგი ფილიპ მექსეშის „ოსერიდან" ფულის ბოლომდე გადაუხდელად გადაბირებას ეხებოდა — ახალი მოთამაშეების შეძენა აუკრძალა და შესაბამისად მათ ძველთა გასხვისებისგან თავი შეიკავეს. მომავალში, როდესაც „რომას" ემბარგო აეხსნება, სავარაუდოდ ისევ ეს დასახელებული სა-



კაფუ



ფილიპო ინძაგი



პაოლო მალდინი

მეული გამოიჩენს ინიციატივას. თუმცა გამორიცხული არაა კასანოს მაინც ამ ზაფხულსვე მოუხდეს „სტადიო ოლიმპიკოს" დატოვება...

კაფუმ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თანამემამულე რონალდოზეც ილაპარაკა.

კერძოდ მან თქვა: „რონალდო ყოველთვის მეკითხება „მილანის" შესახებ. მას აინტერესებს, რა ხდება ჩვენს გუნდში. ალბათ პირველ რიგში იმიტომ, რომ ჩვენთან ბევრი ბრაზილიელი თამაშობს, მაგრამ ამასთან საკუთრივ კლუბის პროგრესიც აინტერესებს."

და ბოლოს, ივნისში კაფუ 35 წლის გახდა, მაგრამ ასაკის მიუხედავად მაინც ბარეორ ახალგაზრდაზე უკეთ თამაშობს.

„ჩემი ფიზიკური ფორმის საიდუმლო მხოლოდ ერთია, შვილები წყნარად დაჯდომის საშუალებას არ მაძლევენ და ამიტომაც მუდმივად მზად ვარ, — ხუმრობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ვეტერანთა განსაკუთრებულობის დასამტკიცებლად დასძენს, — ამ სეზონისთვის მთელი „მილანი" კარგად მოვემზადეთ, მაგრამ პაოლო მალდინი და ბილი კოსტაკურტა მაინც საგანგებონი იყვნენ."

ხოლო კონტრაქტის შესახებ...

„უკვე დროა „მილანთან" კონტრაქტი გადავსინჯო, მაგრამ ამასთან ბედნიერი ვარ, რადგან კლუბმა მაგრძნობინა, რომ ჩემი თამაშით კმაყოფილია. კარიერის „მილანში" დასრულება ჩემი ოცნებაა."

ამასობაში, სასიკეთო ამბები ისმის კაფუს იტალიელი თანაგუნდელის, ფილიპო ინძაგის ექიმებისაგან.

პროფესორი მარკ მარტენსი:

„მე ვეწვიე ინძაგის და მინდა გითხრათ, რომ ის გაცილებით უკეთაა. პიპო დამაიმედებლად ვარჯიშობს, ხოლო მარცხენა მუხლზე ძველი სატკივარი ფაქტობრივად აღარ შეემჩნევა."

შეგახსენებთ, რომ „შავ-წითლებისა" და იტალიის ნაკრების ფორვარდი ბოლო ორი წლის განმავლობაში იძულებული შეიქნა ოპერაციათა მთელი სერია ჩაეტარებინა.

„მას სპეციფიური ფიზიოთერაპია სჭირდება, რის შემდეგაც აგვისტოს დასასრულისთვის ასი პროცენტით იქნება მზად. ერთი სიტყვით, ახლა სჯობს არ გავრისკოთ, დასახელებულ ვადებში კი ინძაგი ფეხბურთს ულაპარაკოდ და რისკის გარეშე ითამაშებს" — დასძინა პროფესორმა.

და ბოლოს იმაზე მოგახსენებთ, რომ პაოლო მალდინიმ, რომელიც ზემოთ კაფუმ ასე აქო, დაიფიცა, რომ „მილანი" სულაც არ დაბერებულა და „იუვესა" და „ინტერს" მომავალ სეზონში ტოლს არ დაუდებს.

„მოედანზე გამოვჩნდებით, რომ ჩვენ ისევ ანგარიშგასაწევი ძალა ვართ და ხალხმა ილაპარაკოს რაც უნდა. მტყუანსა და მართალს შედეგები გვაჩვენებს. ცხადია ვიცით, რომ რაც უფრო გვემატება ასაკი, მით უფრო მეტი მუშაობა გვმართებს ფორმის შესანარჩუნებლად, მაგრამ ჩვენ ამისთვის მზად ვართ და ვმუშაობთ."

სხვათა შორის, ასაკთან დაკავშირებით ერთი ასეთი საინტერესო ფაქტის მოტანა შეგვიძლია: მოგეხსენებათ, „მილანმა" „ინტერისგან" ახლახან შეიძინა ცნობილი ფორვარდი კრისტიან ვიერი, რომელიც ვარჯიშებზე უკლებლივ ყველა მილანელი, ახალგაზრდაც და ბებერიც, დაამარცხა როგორც 10 ისე 15 და 30 მეტრზე სირბილში. ერთი სიტყვით, „მილანი" ძველებურად ძლიერია და როგორც მისი მთავარი ექიმი, პროფესორი ჟან-პიერ მერსემანი ბრძანებს, სექტემბრიდან გუნდის ყოველი მოთამაშე ფენომენალურ ფორმაშიც იქნება.

**პაპუნა კედია**



ლუიშ ფიგუ „ინტერშიც" შვიდნომრიანი მაისურით ითამაშებს

# ფიგუმ იტალიაში სათამაშოდ დავიბადეო

**ექსმადრიდელი** ლუიშ ფიგუ სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ „ინტერის" ფეხბურთელად ოფიციალურად წარადგინეს. პრეზენტაციაზე პორტუგალიელ ვარსკვლავს გვერდს პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი უმშვენებდა, თავად ფიგუ კი მედიამ და გულშემატკივრებმა „ინტერის" 7-ნომრიანი მაისურით იხილეს (ხანგრძლივი მადრიდული ათიანის შემდეგ ვეტერანი ისევ ძველი შვიდიანით იბურთავებს).

შემდეგ იყო ჟურნალისტებთან საუბარი, სადაც „სანტიაგო ბერნაბეუს" ყოფილმა გალაქტიკოსმა აწ უკვე ყოფილ მწვრთნელ ლუშემბურგოსადმი თავისი დამოკიდებულება არ დამალა.

„რეალი" ერთობ იმედგაცრუებულმა დავტოვე ვთქვი, რომ ლუიშ ფიგუ სამეფო გუნდიდან ასე არ უნდა წამოსულიყო. ვანდერლეი ლუშემბურგომ ყველაფერი გააკეთა, რათა გუნდზე ხელი ჩამეჭნა. რა გაეწყობა, კარიერაში ხანდახან შენდამი უსამართლოდ განწყობილ დამრიგებელსაც გადაეყრები ხოლმე" — განუცხადა ლუიშმა იტალიელ ჟურნალისტებს.

ფიგუს არც „რეალის" პრეზიდენტ ფლორენტინო პერესისა და იქაური ინჩასობის მოხსენიება დავიწყებია: „ფლორენტინო ჩემთან თანამშრომლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაიმახსოვრებს — „ბერნაბეუზე" ამ რამდენიმე წლის წინ ფიგუსთან ერთად მოსვლა მისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი და მომგებიანი საქმე იყო. მაშინ პერესმა განაცხადა, რომ მადრიდის „რეალში" თამაშისთვის ვარ დაბადებული, რაზეც ახლა ვუპასუხებ: მე იტალიაში სათამაშოდ დავიბადე და კარიერასაც აქ დავასრულებ. მინდა, მადრიდულ იმჩადას დიდი მადლობა ვუთხრა ჩემდამი გულთბილი დამოკიდებულებისთვის. ძალიან საწყენია, რომ ლუშემბურგოს წყალობით მათ სათანადოდ ვერ გამოვემშვიდობე".

რაც შეეხება „ნეროაძურის", 32 წლის ნახევარმცველი ახალი კლუბით აღფრთოვანებული ჩანს: „აქ მხოლოდ გამარჯვებისთვის მოვედი. „ინტერი" დიდებული გუნდია და მეც ბედნიერი ვიქნები, მორიგი საპატიო ჯილდოს მოგებაში წვლილს თუ შევიტან. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კლუბს და პირადად მის მფლობელს მასიმო მორატის".

**ლადო ხომერიკი**

# იუვემ ძამბროტა დაიდასტურა
## ტურამი მაინც ბრუნდება

**ტურინის** „იუვენტუსმა" თავის ერთ-ერთ ლიდერ ჯანლუკა ძამბროტასთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელა. ამით „ბებერმა ქალბატონმა" წერტილი დაუსვა ჭორებს მარცხენა გარემარბის „ჩელსიში" შესაძლო გადასვლის შესახებ. ორივე მხარე მიღწეული შეთანხმებით ძალიან კმაყოფილია. შეგახსენებთ, რომ ძამბროტა „ბიანკონერიმ" 1999 წელს „ბარიდან" 7 მილიონ გირვანქად იყიდა.

სავარაუდოდ, მალე იგივე ბედი ეწევა ბრაზილიელ ემერსონსაც. მის ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.



ჯანლუკა ძამბროტა

ამასობაში გუნდის ვეტერანმა მცველმა ლილიან ტურამმა რამდენიმედღიანი ორჭოფობის შემდეგ მაინც გადაწყვიტა საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება. 33 წლის ფეხბურთელი, ზიდანისა და მაკელელეს დარად, ალბათ უკვე შვიდ აგვისტოს კოტ დივუარის წინააღმდეგ ითამაშებს.

ამ ამბავს მაინცდამაინც დიდი სიხარულით არ შეხვედრია „იუვეს" თავკაცი ფაბიო კაპელო. მას ეშინია, რომ ტურამი ძალიან გადაიღლება.

„ლილიანი ძალიან გახარებულია და ნაკრებში დაბრუნებას აპირებს. ცხადია, ჩვენ ხელს არ შევუშლით, თუმც მეშინია, იგი არ გადაიღალოს. ამ ასაკის მოთამაშისთვის ასეთი ფიზიკური დატვირთვისა და დაძაბული სეზონის გადატანა რთული საქმეა" — აღნიშნა კაპელომ.

შაბათს კი ტურინული კლუბი „ბენფიკას" გაეჯიბრა. „იუვეს" პრობლემები შეექმნა დაცვაში. ტრავმის გამო ვერ ითამაშეს ჯონათან ძებინამ, ჯანლუკა ძამბროტამ და რობერტ კოვაჩმა, ხოლო ჯორჯო კიელინი და ალესანდრო ბირინდელი მატჩის მსვლელობისას დაშავდნენ.

მიუხედავად ამისა, „ბიანკონერიმ" მშვენივრად იბურთავა — მეტოქის კარი ორჯერ დალაშქრა, საკუთარი კი მშრალად შეინახა. ამაში დიდი წვლილი ჯიჯი ბუფონსაც მიუძღვის, რომელმაც რამდენიმე ურთულესი ბურთი მოიგერია და თავისი ოსტატობა კიდევ ერთხელ გამოაჩინა.

ლისაბონელთა კარში გოლები ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და დავიდ ტრეზეგემ შეაგდეს. ორივე მათგანი კარგად გამოიყურებოდა. სათადარიგოთა სკამზე იჯდა ალექს დელ პიერო, რადგანაც კაპელომ ორი გამოკვეთილი ფორვარდით თამაში არჩია და არც შეცდომა.

მოგეხსენებათ, ამ მატჩის პარალელურად კლუბებს შორის მიგელის ტრანსფერზე მოლაპარაკებები უნდა გამართულიყო, თუმცა კაპელომ ეს ინფორმაცია უარყო და აღნიშნა, მარჯვენა ფლანგზე პრობლემები არ გვაქვს და მიგელის დამატებას არ ვაპირებთო.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ კი ოფიციალურად დაადასტურა, რომ ქვეყნის სუპერთასის მატჩი „იუვენტუსსა" და „ინტერს" შორის 20 აგვისტოს „დელე ალპიზე" გაიმართება.

ამ შეხვედრაში ნავარაუდევია ლუიშ ფიგუს დებიუტი „ნერო აძურის" გუნდში. მოგეხსენებათ, პორტუგალიელს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „შახტართან" თამაშის უფლება არა აქვს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# პარმას ჯილა კორადი იქნება



ბერნარდო კორადი სამშობლოში ბრუნდება

**ალბერტო ჯილარდინოს** 11-ნომრიან მაისურას „პარმაში" ალბათ ბერნარდო კორადი მოირგებს. რამდენიმეკვირიანი მოლაპარაკების შემდეგ მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს. მართალია, ტრანსფერი ჯერ ოფიციალურად არ გაფორმებულა, მაგრამ ბევრიც არ უკლია.

„დიდი იმედი მაქვს, რომ ორშაბათს ბერნარდო უკვე ჩვენთან იქნება და ყველაფერს საბოლოოდ შევათანხმებთ. ტრანსფერის დეტალებზე და მის ოფიციალურ მხარეზე ამის მერე ვისაუბრით. ჩვენ კიდევ ერთი ფორვარდის შეძენა გვაქვს გადაწყვეტილი, რასაც ალბათ მომავალი კვირის ბოლომდე გავაკეთებთ" — თქვა გუშინ „პარმას" ტექნიკურმა დირექტორმა.

როგორც იცით, 29 წლის თავდამსხმელს გასული სეზონი „ვალენსიაში" ჩაუვარდა და მან მრავალჯერ გამოთქვა სამშობლოში დაბრუნების სურვილი, თუმც კორადი „პარმას" წინადადებას აქამდე ალმაცერად უყურებდა, მაგრამ სერია A-ს სხვა კლუბებმა მაინცდამაინც არ იაქტიურეს.

ვთქვათ ისიც, რომ „ენიო ტარდინის" ბინადრები სეზონს ოფიციალურად მომავალ კვირას გახსნიან, როდესაც იტალიის თასზე ქვედალიგელ „კავეზეს" დაუპირისპირდებიან.

**გიორგი ძაძაბაძე**

# რომას ერთგული შაბანი



შაბანი ნონდა

**კონგოელ** ფორვარდს შაბანი ნონდას ლისაბონის „ბენფიკა" უტრიალებს. პორტუგალიელებს დიდი ხანია თავდასხმის გაძლიერება უნდათ, მაგრამ სასურველი მოთამაშის შეძენას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ.

ნონდა კი, რომელიც „იუვენტუსის" ექიმებმა დაიწუნეს, „რომაში" ზაფხულის შუაწელს, როდრიგო ტადეისა და სამუელ კუფურის დარად თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. თუმცა არც ერთ მათგანს დედაქალაქელთა რიგებში თამაშის უფლება არ აქვს და სატრანსფერო ემბარგოს გამო კიდევ ერთი წლის მანძილზე არ ექნება.

მიუხედავად ამისა, აფრიკელი „ჯალოროსის" მიტოვებას არ აპირებს და მორიგი აპელაციის შედეგს დაელოდება. თუ პირველადი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა, ნონდა რომელიმე კლუბში არენდის წესით იბურთავებს, ხოლო მომავალ ზაფხულს ისევ „სტადიო ოლიმპიკოზე" დაბრუნებას გეგმავს.

„რომაელები შაბანის ენდობიან. მათ მისი ჯანმრთელობა და შესაძლებლობები ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. ჩვენ ამას არასოდეს დავივიწყებთ. „ბენფიკას" დიდ მადლობას ვუხდით ინტერესისთვის, მაგრამ გადაწყვეტილებას სატრანსფერო ემბარგოს შესახებ გაკეთებული აპელაციის შედეგის გაგებამდე ვერ მივიღებთ. ასეა თუ ისე, ნონდა „რომაში" თამაშს აპირებს და ამას თუ ახლა ვერა შემდგომ სეზონში გააკეთებს" — აღნიშნა შავკანიანი ფორვარდის აგენტმა ჯონ დარიომ.

„რომას" აპელაციის შედეგი კი წესით დღეს ან ხვალ უნდა გაირკვეს, ამის მერე გადაწყდება როდრიგო ტადეისა და სამუელ კუფურის ბედიც.

**გიორგი ძაძაბაძე**

## ინგლისი

### ჩემპიონატი. I ტური

**ძრიუ 2:1 ბარნლი**

1:0 ბ. ჯონსი (44), 1:1 გ. ნოელ-უილიამსი (67), 2:1 ვაგანი (89)

**კრ. პალასი 1:2 ლუტონი**

0:1 შ. ჰოვარდი (44), 1:1 ა. ჯონსონი (52), 1:2 ა. ბრკოვიჩი (79)

**იფსვიჩი 1:0 კარდიფი**

1:0 ფორსტერი (64)

**დერბი 1:1 ბრაიტონი**

0:1 ჰამონდი (7), 1:1 პეშისოლიდო (12)

**ნორვიჩი 1:1 ძოვენთრი**

1:0 დ. აშტონი (21), 1:1 ადებოლა (65)

**რედინგი 1:2 პლიმუთი**

0:1 მ. ევანსი (21), 1:1 ლიტა (54), 1:2 ნ. ჩედვიკი (90)

**შეფილდი 4:1 ლესტერი**

1:0 ა. გრეი (34პ), 1:1 დ. კონოლი (50), 2:1 კაბა (81პ), 3:1 იფილი (84), 4:1 ბრომბი (90)

**უოტფორდი 1:2 პრესტონი**

1:0 დ. ჰენდერსონი (9), 1:1 ნაგენტი (22), 1:2 ეტუჰუ (37)

**საუთჰემპტონი 0:0 ვულვზი**

**სტოკი 0:0 უენსდი**

**ჰალი 0:0 ძპრ**

**ლიდსი 2:1 მილუოლი**

1:0 დ. ჰილი (28), 1:1 ჰატჩისონი (61), 2:1 დ. ჰილი (73პ)

### I ლიგა. I ტური

ბლექპული — ჩესტერფილდი 1:3; ბარნსლი — სუინდონი 2:0; ბრენტფორდი — სკანთორპი 2:0; ბრისტოლი — დონკასტერი 0:0; ჰარტლპული — ბრედფორდი 0:2; ჯილინგემი — კოლჩესტერი 2:1; მილტონი — ბორნმუთი 2:2; ნოტინგემი — ჰადერსფილდი 2:1; ოლდემი — იოვილი 2:0; როტერჰემი — უოლსოლი 1:2; საუთენდი — პორტ ვეილი 1:2; სუონსი — ტრამერი 1:0

### II ლიგა. I ტური

ლეიტონი — მაკლსფილდი 2:1; სტოკპორტი — მენსფილდი 2:2; ბარნეტი — როშდეილი 1:1; რაშდენი — დარლინგტონი 1:1; პიტერბორო — ჩესტერი 0:1; უიკომბი — კარლაილი 1:1; ჩელტენემი — ბერი 2:1; შრიუსბერი — როჩდეილი 0:1; ლინკოლნი — ნორთჰემპტონი 1:1; ტორკი — ნოტსი 0:0; გრიმსბი — ოქსფორდი 1:1; რექსემი — ბოსტონი 2:0

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. V ტური

რაპიდი — აუსტრია 3:1; ადმირა — მატერსბურგი 1:2; რიდი — გრაცერი 2:1; შტურმი — ზალცბურგი 0:0; ტიროლი — პაშინგი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:4 | 12 |
| აუსტრია | 5 | 4 | 0 | 1 | 10:7 | 12 |
| გრაცერი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:7 | 9 |
| შტურმი | 5 | 2 | 3 | 0 | 7:5 | 9 |
| რიდი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| ტიროლი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| პაშინგი | 5 | 0 | 4 | 1 | 4:6 | 4 |
| ზალცბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| მატერსბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| ადმირა | 5 | 0 | 0 | 5 | 4:9 | 0 |

## პოლონეთი

### I ლიგა. III ტური

გროცლინი — ვისლა 2:4; ბელხატოვი — ლეგია 0:3; არკა — ლეჩნა 1:1; ოდრა — ამიკა 0:4; გურნიკი — კრაკოვია 3:0; პლოცკი — ლეხი 2:3; პოლონია — ზაგლებე 1:1; პოგონი — კორონა 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| პოგონი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| გურნიკი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:0 | 5 |
| ლეგია | 3 | 1 | 2 | 0 | 3:0 | 5 |
| ლეხი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| პოლონია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| კრაკოვია | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| ოდრა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:4 | 4 |
| ამიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| ზაგლებე | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ლეჩნა | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| არკა | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| პლოცკი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| გროცლინი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| კორონა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ბელხატოვი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:6 | 1 |

## უკრაინა

### I დივიზიონი. V ტური

ტავრია — შახტარი 0:3; მეტალურგი (დ) — მეტალისტი 3:1; დნიპრო — სტალი 0:1; ვოლინი — ზაკარპატია 3:1; ჩერნომორეცი — ვორსკლა 1:2; ხარკოვი — არსენალი 3:1; კრივბასი — მეტალურგი (ზ) 1:0; დინამო — ილიჩევეცი 0:1-ზე ჩაიშალა

## ბელგია

### იუპილერლიგა. I ტური

**ბრიუგე 2:0 მუსკრონი**

1:0 ლეკო (14), 2:0 ბალაბანი (25)

**სტანდარდი 3:1 ლიერსი**

1:0 ჩიტე (5), 1:1 იმშო (24), 2:1 ჟერარდსი (44), 3:1 ს. კონსეისაო (90)

**ანდერლეხტი 6:0 ლუვიე**

1:0 მ. მპენზა (9), 2:0 აკინი (25), 3:0 პ. ზეტერბერგი (45), 4:0 გოორი (58). 5:0 აკინი (67), 6:0 დ. მიტუ (84)

**გენტი 1:3 ვარეგემი**

0:1 სერგანტი (38), 1:1 ბულე (43), 1:2 ლილუ (51), 1:3 ნიუვენშიუზი (84)

**ბევერენი 0:2 ბრიუსელი**

0:1 სელსი (40), 0:2 კამარგო (90)

**ლოკერენი 1:1 გენკი**

1:0 ბანსი (49), 1:1 კ. ვანდერბერგი (83პ)

სტ. ტრიუდენი 1:0 რუზელარე

1:0 სტოლიკა (19)

**ვესტერლო 2:0 სერკლი**

1:0 კოელიო (9), 2:0 კ. იანსენი (20)

**შარლერუა 2:0 ბეერსხოტი**

1:0 კრისტი (59), 2:0 რეინა (90)

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XVII ტური

რუსენბორგი — ლილესტრიომი 1:2; ოდ გრენლანდი — ფრედრიკსტადი 2:1; ჰამ კამი — ბოდიო გლიმტი 2:0; ბრანი — ალესუნდი 0:0; ვოლერენგა — ტრომსიო 1:1; მოლდე — ლინი 1:3; *ვიკინგი — სტარტი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 16 | 10 | 4 | 2 | 29:16 | 34 |
| ვოლერენგა | 16 | 9 | 4 | 3 | 26:17 | 31 |
| ვიკინგი | 16 | 9 | 3 | 4 | 25:19 | 30 |
| ლილესტრიომი | 17 | 9 | 3 | 5 | 25:20 | 30 |
| ლინი | 17 | 7 | 7 | 3 | 24:15 | 28 |
| ბრანი | 17 | 7 | 5 | 5 | 31:20 | 26 |
| ფრედრიკსტადი | 17 | 6 | 4 | 7 | 26:25 | 22 |
| რუსენბორგი | 17 | 6 | 3 | 8 | 29:27 | 21 |
| ჰამ კამი | 17 | 6 | 3 | 8 | 19:23 | 21 |
| მოლდე | 16 | 5 | 3 | 8 | 21:31 | 18 |
| ოდ გრენლანდი | 17 | 5 | 3 | 9 | 14:32 | 18 |
| ალესუნდი | 17 | 3 | 6 | 8 | 16:25 | 15 |
| ტრომსიო | 17 | 2 | 8 | 7 | 17:23 | 14 |
| ბოდიო გლიმტი | 17 | 3 | 4 | 10 | 19:28 | 13 |

### I დივიზიონი. XVII ტური

ალტა — ბრინი 0:3; ფოლო — მანდალი 0:3; მოსი — პორს გრენლანდი 1:2; სტრომგოდსეტი — ლოვ ჰამი 1:0; ჰოდი — კონგსვინგერი 4:3; სტაბეკი — ჰიონეფოსი 3:0; ტომსბერგი — სანდეფიორდი 2:3; სოგნდალი — სკეიდი 3:1

## შვედეთი

### ალსვენსკა. XVII ტური

იურგორდენი — ჰამარბი 2:2; კალმარი — მალმიო 0:2; ასირისკა — ლანდსკრონა 0:1; იორგრიტე — ჰალმსტადი 2:1; *ელფსბორგი — ჰეკენი; სუნდსვალი — გეფლე; ჰელსინგბორგი — გიოტებორგი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 16 | 9 | 4 | 3 | 33:18 | 31 |
| მალმიო | 17 | 9 | 3 | 5 | 20:15 | 30 |
| ჰელსინგბორგი | 15 | 8 | 3 | 4 | 23:20 | 27 |
| გიოტებორგი | 15 | 7 | 5 | 3 | 19:10 | 26 |
| ჰეკენი | 15 | 8 | 1 | 6 | 23:16 | 25 |
| კალმარი | 17 | 6 | 7 | 4 | 16:14 | 25 |
| ჰამარბი | 16 | 6 | 5 | 5 | 23:18 | 23 |
| ელფსბორგი | 16 | 6 | 5 | 5 | 23:23 | 23 |
| იორგრიტე | 17 | 6 | 3 | 8 | 22:26 | 21 |
| ლანდსკრონა | 16 | 5 | 4 | 7 | 16:29 | 19 |
| ჰალმსტადი | 16 | 5 | 3 | 8 | 20:23 | 18 |
| გეფლე | 15 | 5 | 2 | 8 | 12:19 | 17 |
| ასირისკა | 17 | 4 | 1 | 12 | 13:20 | 13 |
| სუნდსვალი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:27 | 13 |

### სუპერეტა. XVIII ტური

ვესტეროსი — ლიუნგსკილე 3:1; ატვიდაბერგი — ბოდენი 1:1; იორებრო — ფრიოლუნდა 3:1; ტრელებორგი — დეგერფორსი 0:1; ფალკენბერგი — ბრომაპოიკარნა 4:2; *აიკ — ნორჩიოპინგი და გაის — მიალბო დღეს გაიმართება*

## მექსიკა

### აპერტურა. II ტური

ტოლუკა — სან ლუისი 2:1; ატლანტე — სანტოსი 0:0; ხაგუარესი — ნეკაქსა 1:1; მორელია — მონტერეი 2:2; ტიგერესი — დორადოსი 3:1; ატლასი — კრუს ასული 0:1; უნამი — გვადალახარა 1:0; *პაჩუკა — ამერიკა და ტეკოსი — ვერაკრუსი გვიან დამთავრდა*

## შვეიცარია

### სუპერლიგა. IV ტური

აარაუ — ქსამაქსი 2:0; ციურიხი — თუნი 2:2; ივერდონი — ბაზელი 1:2; შაფჰაუზენი — სენტ გალენი 1:1; იანგ ბოისი — გრასჰოპერი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:5 | 9 |
| სენტ გალენი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:6 | 7 |
| ციურიხი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:7 | 7 |
| გრასჰოპერი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| თუნი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:7 | 7 |
| იანგ ბოისი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ქსამაქსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| შაფჰაუზენი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| აარაუ | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ივერდონი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:12 | 0 |

### ჩელენჯლიგა. IV ტური

ვოლენი — ბოლნი 1:1; ვინტერთური — სიონი 4:4; კიასო — კონკორდია 1:1; ლუგანო — ვადუცი 0:4; იუვენტუსი — ვილი 4:2; ლუცერნი — კრინსი 2:2; მეირინი — ლოზანა 0:0; ლოკარნო — ბელინცონა 0:2; შო დე ფონი — ბადენი 1:2

## უნგრეთი

### I დივიზიონი. II ტური

ზალაეგერსეგი — ტატაბანია 3:0; გიორი — რეაკი 2:2; უიპეშტი — ვაშაში 2:2; მტკ — პეჩი 2:0; ლომბარდ პაპა — შოპრონი 1:2; დიოშ გიორი — ვიდეოტონი 1:0; ჰონვედი — ფერენცვაროში 3:1

## ხორვატია

### I დივიზიონი. III ტური

ციბალია — ინტერი 1:0; ზაგრები — ოსიეკი 0:1; მედიმურიე — სლოვანი 2:0; პული — ვარტექსი 0:1; დინამო — რიეკა 5:1; კამენი — ჰაიდუკი 2:1

## დანია

### სუპერლიგა. IV ტური

ბრონდბიუ — ოლბორგი 3:1; ესბიერგი — სილკებორგი 4:0; კოპენჰაგენი — ორჰუსი 1:1; მიდტიულანდი — ჰორსენსი 2:1; ოდენსე — ნორდსიელანდი 0:0; ვიბორგი — სონდერილანდი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიბორგი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:4 | 12 |
| ბრონდბიუ | 4 | 4 | 0 | 0 | 11:3 | 12 |
| კოპენჰაგენი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| მიდტიულანდი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:6 | 7 |
| ოდენსე | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| სილკებორგი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:9 | 6 |
| ესბიერგი | 4 | 1 | 1 | 2 | 9:7 | 4 |
| სონდერილანდი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| ნორდსიელანდი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ორჰუსი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:8 | 1 |
| ოლბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| ჰორსენსი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |

### I დივიზიონი. II ტური

ბრანდი — ლინგბი 0:3; ბრიონშიოი — ჰელერუპი 1:6; ფრემადი — რანდერსი 1:0; კოლდინგი — ფრედერისია 3:2; ვეილი — ჰერფიოლგე 1:0; აკადემისკი — ფრენი 1:3; ნიკიობინგი — სკიოლდი 2:2; კოგე — იოლსტიკე 2:0

## აშშ

### მეიჯორლიგა. XXI ტური

სოლტ ლეიკი — ჩივასი 2:1; ნიუ ინგლენდი — კანზასი 1:2; დალასი — ნიუ იორკი 2:2; ჩიკაგო — ვაშინგტონი 2:3; კოლორადო — ლოს ანჯელესი 2:0; სან ხოსე — კოლუმბუსი 2:1

## სლოვაკეთი

### I ლიგა. IV ტური

დუბნიცა — ინტერი 1:1; ნიტრა — ბისტრიცა 0:3; პუხოვი — რუჟომბეროკი 0:2; ტრნავა — ტრენჩინი 1:0; ჟილინა — პეტრჟალკა 1:2

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. I ტური

სლავია — იპლავა 1:1; პლზენი — სპარტა 1:2; ზლინი — ბლშანი 0:1; პრჟიბრამი — ბრნო 2:1; ბოლესლავი — ლიბერეცი 2:4; იაბლონეცი — სლოვაცკო 2:1; მოსტი — ტეპლიცე 2:1; სიგმა — ბანიკი დღეს გაიმართება

## თურქეთი

### სუპერლიგა. I ტური

გენჩლერი — ფენერბაჩე 0:0; სავისპორი — მალათია 1:1; ტრაბზონი — კაისერი 2:1; ერჟიესი — ბეშიქთაში 1:1; დიარბაქირი — რიზე 1:0; გალათასარაი — ქონია 2:1; დენიზლი — ანკარა 1:1; მანისა — ანკარაგიუჯიუ 2:2; სამსუნი — გაზიანთეფი 2:3

# დროგბამ მეთოფეები დაბომბა



გუშინ დიდიე დროგბა შეუჩერებელი იყო

## ინგლისი

### კომუნიტი შილდი

**ჩელსი 2:1 არსენალი**

1:0, 2:0 დროგბა (8, 57)

**ჩელსი:** ჩეხი, გალასი, ტერი, პ. ფერეირა, დელ ორნო, მაკალელე, ლამპარდი (ჯერემი 90), დაფი (ჯო კოული 74), რობენი (რაიტ-ფილიპსი 69), გუდიონსენი (ტიაგო 58), დროგბა (კრესპო 59)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

**არსენალი:** ლემანი, შენდეროსი (სიგანი 72), ტურე, ლორენი (ჰოიტი 78), ეშლი კოული, ფაბრეგასი, ლიუნგბერგი (რეიესი 72), ფლამინი (გლები 45), პირესი (სილვა 45), ბერხკამპი (ვან პერსი 45), ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ფაბრეგასი, მაკალელე, ლამპარდი

მსაჯი: ჰოვარდ ვები

58 014 მაყურებელი

**შეიძლება** ითქვას, რომ კარდიფში შეკრებილი 58 ათასზე მეტი ქომაგის მოლოდინი გამართლდა. მათ საკმაოდ მაღალ ტემპში მიმდინარე, ძალიან საინტერესო, დაძაბული და სანახაობრივი მატჩი იხილეს.

ლონდონის „ჩელსიმ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ პრემიერლიგის უმთავრეს ფავორიტად რჩება. ჟოზე მაურინიოს გუნდი თავისთვის მეტად უხერხულ მეტოქესთან მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და დამსახურებულადაც იმარჯვა.

„მეთოფეებმა" მძლავრად მოთამაშე თანაქალაქელებთან ვერაფერი გააწყვეს და საკმაოდ უფერულად გამოიყურებოდნენ.

ანგარიში შეხვედრის დებიუტშივე გაიხსნა. დიდიე დროგბამ, რომელიც ბრწყინვალედ გამოიყურებოდა, ლონდონელთა ახალწვეულ ასიერ დელ ორნოს პასი მიიღო და ბურთი ტექნიკურად გაგზავნა იენს ლემანის კარში.

პირველ ნახევარში „არსენალის" მხრიდან საუკეთესო შანსი კოლო ტურეს შეექმნა, მაგრამ მისი დარტყმული პეტერ ჩეხმა საოცარი რეაქციით მოიგერია.

მეორე ტაიმის დებიუტში კი ისევ დროგბამ იხეირა. კოტ დივუარელმა ამჯერად ძალის დემონსტრირება მოახდინა — იგი შენდეროსს, ლორენსა და ლემანს არ დაემორჩილა და თავისი მაინც გაიტანა.

ჟოზე მაურინიომ მყისვე ორი შეცვლა გააკეთა და თამაში დაამშვიდა. მართალია, ფრედი ლიუნგბერგის კროსის შემდეგ ფაბრეგასმა ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ ეს იყო და ეს...

ვნახოთ, რა მოხდება ორი კვირის მერე, როდესაც „ჩელსი" და „არსენალი" კიდევ ერთხელ შეეყრებიან ერთმანეთს, ოღონდ პრემიერლიგაში.

**გიორგი ქაქაბაძე**


ამსტერდამის „აიაქსი" სუპერთასის მოგებას ზეიმობს

# ბუხარიმ ჰიდინკი დააბოლა

## ჰოლანდია

### სუპერთასი

**პსვ 1:2 აიაქსი**

1:0 ბუმა (51), 1:1 ბუხარი (72), 1:2 რ. ბაბელი (77)

**„აიაქსმა"** ჰოლანდიის სუპერთასისთვის მატჩში ქვეყნის ჩემპიონი პსვ დაამარცხა.

ეინდჰოვენელთა მწვრთნელი გუუს ჰიდინკი ახლა ავსტრალიის ნაკრებსაც თავკაცობს, თან პსვ-მ სამი მთავარი ფეხბურთელი ამ ზაფხულს გაყიდა: მარკ ვან ბომელი, იოჰან ფოგელი და ჯი სუნ პარკი. პირველი მათგანი ლუსიუსმა შეცვალა, მეორე ტომი სიმონსმა, ხოლო მესამე იბრაჰიმ აფელაიმ. ეს უკანასკნელი ჰოლანდიის ოცწლამდელთა ნაკრების ფეხბურთელია და პსვ-მ „ბრიუგედან" დაიმატა.

მეექვსე წუთზე ვენეგორ ოფ ჰესელინკს ქუსლით უნდოდა გოლის გატანა, მაგრამ კარს ააცდინა. სამაგიეროდ, მეორე ტაიმის დასაწყისში მის თანაგუნდელ ალექსს გამოუვიდა ქუსლით პასი და ცილფრედ ბუმამ ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ „აიაქსის" ნახევარმცველმა ნურდინ ბუხარიმ დაახლოებით თვრამეტი მეტრიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა, ხოლო მოგვიანებით მისი პასით რაიან ბაბელმა იხეირა.

გუუს ჰიდინკი: „აიაქსმა" მეორე ტაიმი ისე კარგად ითამაშა, რომ გამარჯვება დაიმსახურა. ჩვენ რამდენიმე ფეხბურთელი დაგვაკლდა, ამიტომ გუნდის ხელახლა აწყობა მოგვიწევს."

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჟიული კუნთებს იძლიერებს

**„ბარსელონაში" ლუდოვიკ ჟიულის პირველმა სეზონმა წარმატებით ჩაიარა. ფრანგმა მოიერიშემ 2004-05-ის პრიმერაში ესპანეთის ჩემპიონობა და გულშემატკივართა სიმპათიები ღირსეულად დაიმსახურა. თუმც „მონაკოს" ყოფილი მობურთალი მღიწეულ შედეგზე გაყინვას არ აპირებს. მას ისევ პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა და თან ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდა. გარდა ამისა, ჟიულის ერთი სანუკვარი ოცნებაც აქვს — 2006 წლის მუნდიალზე ფრანგთა ნაკრებთან ერთად დიდი ჯილდოს მოპოვება ჩაუფიქრებია. „კამპ ნოუს" პლეიმეიკერს კატალონიური „სპორტის" ჟურნალისტები გაესაუბრნენ**




**— ფრანკ რაიკარდის გუნდში თქვენი პირველი სეზონი იღბლიანი იყო. ალბათ ერთადერთი, რამაც შეგაწუხათ, ხშირია ტრავმებია...**

— 2004-05-ის პრიმერა ჩემთვის და საერთოდ გუნდისთვის იღბლიანი გამოდგა. „ბარსამ" რამდენიმეწლიანი ჩავარდნის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონობა მოიგო. ვთვლი, რომ ცუდად არ მითამაშია, თუმცა ტრავმებმა მართლა შემაწუხა. არდადეგების დროს მონაკოში ვიყავი, რათა ჩემი ძველი გუნდის ფიზმომზადების მწვრნელთან სათანადო კურსი გამევლო. მომავალ სეზონს სრულ საბრძოლო ფორმაში უნდა შევხვდე.

**— საამსეზონოდ ტრავმების თავიდან ასაცილებლად რაიმე განსაკუთრებული ხერხით ემზადებით?**

— ვცდილობ, კუნთებს უფრო მეტი დატვირთვა მივცე, საერთოდ საფრანგეთში ბურთაობისას ფიზმომზადებას ბევრ დროს ვუთმობდი, ახლა კი სავარჯიშო დარბაზში ყოფნის დროს გავაორმაგებ — არ მინდა, რომ შარშანდელივით ტრავმამ დამაბრკოლოს.

**— ჩანს „ბარსას" ახალწვეულ სანტი ესკეროსთან კონკურენციის პერსპექტივამ გაიძულათ, საქმეს უფრო ბეჯითად მოეკიდოთ...**

— კონკურენცია კარგი საქმეა. თავად განსაჯეთ, ერთი ფეხბურთელი წელიწადში 60 თამაშის ერთნაირ დონეზე ჩატარებას ვერაფრით შეძლებს. წინდახედულ მწვრთნელებს უსაფრთხოებისთვის ერთ პოზიციაზე 2-3 მობურთალი ჰყავთ. ესკეროსა და ვან ბომელის „კამპ ნოუზე" მოსვლით ყველაზე მოგებული თავად „ბარსელონა" დარჩება.

**— ჩემპიონთა ლიგის შესახებ ვისაუბროთ. „მონაკოს" პერიოდში ამ გათამაშების ფინალში დამარცხდით, შემდეგ კი თქვენმა, „ბარსელონამ" ლონდონის „ჩელსისთან" წააგო. მომავალ სეზონში ლუდოვიკ ჟიულისთვის ლიგის მოგება ვინძლო მთავარი მიზანი იყოს...**

— ჩემპიონთა თასის მოგება ნამდვილად მნიშვნელოვანია, თუმცა ზერელედ არც პრიმერადივიზიონს მოვეკიდებით. „ბარსაში" იმიტომ მოვედი, რომ ყველა ტურნირში გავიმარჯვო. ამიტომაც ჩემი მიზანი ესპანეთის ჩემპიონატის თასის და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. კატალონიური გრანდი ყველა ზომიერად ამბიციური ფეხბურთელისთვის შესანიშნავი სარბიელია. ჩემს თანაგუნდელებთან ერთად მართლაც ყველაფრის მოგება შემიძლია...

**— „ბარსელონას" „მარადიულმა მტერმა", „რეალმა", ზაფხულში თავისი რიგები რამდენიმე მნიშვნელოვანი ახალწვეულით შეავსო. მადრიდელების სიძლიერე არ გაფიქრებთ?**

— გულახდილად გეტყვით, „რეალი" საერთოდ არ მაინტერესებს. მთავარია, თავად ჩვენი გუნდი იყოს შესაბამისად ძლიერი. თუ „ბარსელონა" თავის ფეხბურთს ითამაშებს, მეტოქეს რაც არ უნდა ქნას, ქულები მაინც ჩვენ დაგვრჩება.

**— თქვენს თანამემამულე ტიერი ანრიზე შეგეკითხებით. 2006 წლისთვის „არსენალის" ვარსკვლავის „ბარსაში" გადმობარგების პერსპექტივა როგორ მოგწონთ?**

— არ ვიცი, გუნდის პრეზიდენტი ხუან ლაპორტა ანრის იყიდის თუ არა. ამ თემაზე საუბრისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ.

**— თუმც, ჩვენთან ადრინდელ ინტერვიუში აღიარეთ, რომ ანრის საფრანგეთის ეროვნული გუნდის შეკრებებზე „ბარსელონას" შესახებ ბევრს ელაპარაკებოდით...**

— დიახ, მაშინ ანრიმ ჩემთან „ბარსა" ძალიან აქო, თუმც აღნიშნა, რომ თავს „არსენალშიც" კარგად გრძნობს. მას ჩვენი სათამაშო სტილი, მოედანი და ინჩასობა მოსწონს. მითხრა, „ბარსას" ყველა მატჩს ტელევიზორში ვუყურებო.

**— 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვინძლო თქვენს მეგობარ ანრისთან ერთად გამოსვლაზე ოცნებობთ...**

— მას შემდეგ, რაც ტრავმის გამო 2004 წლის პორტუგალიის ევროთასი გამოვტოვე, გერმანიის მუნდიალი ჩემი პირველი დიდი სანაკრებო შეჯიბრება იქნება. საფრანგეთს საკმარისი შანსები აქვს ოქროს მედლების მოსაგებად. ცხადია მეც და ანრიც ტიტულისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.



ლანსელები ვიტორინო ჰილტონს (შუაში) გოლს ულოცავენ

# სანტინიმ ოსერს მონაკო დაუბრუნა

## საფრანგეთი

I დივიზიონი. II ტური

**მონაკო 0:2 ოსერი**

0:1 ვიოლო (26), 0:2 პიერონი (78)
გაძევება: ევრა (42, მონაკო)

**ლანსი 2:0 მარსელი**

1:0 კეიტა (37), 2:0 ჰილტონი (61)

**აიაჩო 3:3 ლილი**

1:0 რ. როკი (12), 1:1 მაკუნი (19), 2:1 ვ. პერეირა (27), 2:2 გიგაქსი (39), 3:2 საიფი (65), 3:3 დებიუში (90)

**ბორდო 1:0 ნანსი**

1:0 შამახი (1)

**ტულუზი 0:2 ნიცა**

0:1 კონე (1,), 0:2 ს. ტრაორე (29)

**მეცი 0:0 ლე მანი**

**რენი 0:3 ნანტი**

0:1 ფაე (14), 0:2 დიაო (78), 0:3 ბამოგო (86)

**ლიონი : სტრასბური**

**ჟაკ სანტინის** „ოსერის" სტუმრად მოუგო დიდი ლემანის „მონაკოს", რომელსაც ტრავმირებული ზურანდი და ოლივე კაპო აკლდა. ლემანის შეტევა ჯიბრილ ციესიმ და ხავიერ ერნესტო ჩევანტონმა დაავალა, მაგრამ მათ არაფერი გამოუვიდათ.

ოსერელებმა თავდასხმაში ბენჟანი მვარუვარი გაამწესეს, რომელიც შვებულებიდან ორი კვირის დაგვიანებით დაბრუნდა და გუნდიდან გაქცევას უპირებდნენ. ტაიმის შუაში ფილიპ ვიოლომ „ოსერის" ახალწვეულის, თიმას კალენბერგის პასით სტუმრები დააწინაურა. კალენბერგი ამ მატჩში გამთამაშებელი იყო და საქმე ფრიადზე შეასრულა. ტაიმის დასრულებამდე „მონაკოს" პატრის ევრა გაუძევეს, რადგან ბაგარი სანგას უუხეშა.

შესვენების შემდეგ ჟაკ სანტინიმ შეცვლაზე ლუიჯი პიერონი შეუშვა და მან ოთხ წუთში გოლი მოითვალა, პირონიმ ძელიდან გადმოგდებულ ბურთს თავი სავოლედ დაუხვედრა — 0:2. აღსანიშნავია, რომ „ოსერს" 1998 წლის შემდეგ მონაკოში სტუმრად არ მოეგო და ჟაკ სანტინის თავკაცობით ნავსი გატეხა.

„მარსელმა" ინტერტოტოზე" „ლაცოის" კი მოუგო, მაგრამ ჩემპიონატში მოიკოჭლებს. „ველოდრომის" ბინადრებმა მიჯრით მეორე მატჩი ისე წააგეს, გოლიც ვერ გაიტანეს. მათ, პირველ ტურში შინ „ბორდოსთან" მარცხს (0:2), ამჯერად „ლანსთან" ასეთივე ანგარიშით წაგება მოჰყოლეს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ სამხრეთელებს „ლანსთან" შეხვედრაში ძირითადი ფეხბურთელები — მამადუ ნიანგი და ფრანკ რიბერი — აკლდნენ. პირველი ტაიმის მიწურულს არუნა დინდანეს წაქცევისათვის „მარსელის" კარში მსაჯმა პენალტი დანიშნა, ჟეროМ ლეროიმ დაარტყა, მაგრამ მეკარე სედრიკ კარასომ მოიგერია, მოგერიებულს კი სეიდუ კეიტამ მოუსწრო და ანგარიში გახსნა.

ერთ პენალტს „მარსელიც" ითხოვდა, როცა მასპინძელმა დემონმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, მაგრამ ალან სარსმა წაუყრუა.

შესვენების შემდეგ სტუმართა მწვრთნელმა ჟან ფერნანდესმა გუნდს სამირ ნასრი და სალომონ ოლემბე დაახმარა, მაგრამ მაინც ვერ იხეირა, „ლანსის" მცველმა ვიტორინო ჰილტონმა კი თავურით მეორე გოლი მიართვა სტუმრებს.

„სოშოს" ამ ზაფხულს მწვრთნელი შეუცვალეს — გი ლაკომბის ნაცვლად დომინიკ ბიჟოტა დანიშნეს, თუმც გუნდს გაუმჯობესება არ ეტყობა. სოშოელებმა მიჯრით ორი საშინაო მატჩი წააგეს. ამჯერად მათ პსჟ-მ ედუარდ სისეს გოლით აჯობა, რომელმაც პედრო პაულეტას პასი შეირგო. რაც შეეხება პარიზელებს, ლორენ ფურნიეს თავკაცობით დედაქალაქელებმა ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ბორდო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ნიცა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ოსერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ლილი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ნანტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლანსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ტულუზი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| მონაკო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| აიაჩო | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ტრუა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სტ. ეტიენი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| სტრასბური | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლე მანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მეცი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| რენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ნანსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| სოშო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| მარსელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

II დივიზიონი. II ტური

ბასტია — კრეტეი 1:1; კაენი — ამიენი ; დიჟონი — კლერმონი ; გრენობლი — რეიმსი 1:0; გენიონი — ვალანსი 2:0; ისტრი — გენგამი 0:0; ლე ავრი — შატორუ 0:3; ლორიანი — ლავალი 2:1; მონპელიე — ბრესტი 1:1; სედანი — სეტე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლორიანი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| შატორუ | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| გენიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| კრეტეი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| მონპელიე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სედანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ისტრი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ამიენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ვალანსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| გრენობლი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ბასტია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ბრესტი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გენგამი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| კლერმონი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სეტე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კაენი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| დიჟონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| რეიმსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ლავალი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ლე ავრი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

# ეშტრეკოვმა მაგიდაზე დადო

## რუსეთი

პრემიერლიგა. XIX ტური

**რუბინი 3:1 ლოკომოტივი**

1:0 აიუპოვი (12პ), 2:0 დომინგესი (33), 2:0 ბაირამოვი (75), 3:1 ლებედენკო (80)
რუბინი: ხარჩიკი, სინევი, სკოტი, სალუქვაძე, აიუპოვი (კონოვალოვი 44), ასტაფიევი, სიბაია, რალფი, დომინგესი (სილა 74), ბაირამოვი (ჩიჟეკი 82)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ლიმა, ბიკეი, პაშინინი, სენნიკოვი, ასათიანი, გურენკო, სამედოვი (ლებედენკო 46), ხოხლოვი, ბილიალეტდინოვი (კრუგლოვი 59), სიჩევი
გაფრთხილება: ასათიანი

**კრილია 2:2 ცსკა**

0:1 იგნაშევიჩი (4), 1:1 გუსინი (15პ), 1:2 გუსევი (43), 2:2 ადამუ (89)

**ტორპედო 2:1 ტერეკი**

1:0 სემშოვი (70), 1:1 კორიტკო (77), 2:1 პანოვი (89)

**შინიკი 1:0 ალანია**

1:0 პოგრებნიაკი (22)
ალანია: რადიჩი, ოკორონკო, ჟუტაუტასი, ქვირკველია, გრუიჩი, კრისტოფერი, შაშიაშვილი, გ. ბაზაევი, ჟ. ბაზაევი, გოგნიევი, დემეტრაძე

**ზენიტი 1:0 ტომი**

1:0 სპივაკი (34)

**სატურნი 0:1 დინამო**

0:1 ჟ. რიბეირუ (57)

**სპარტაკი 2:0 როსტოვი**

1:0 პიანოვიჩი (13), 2:0 ბაჟენოვი (51)

**მასკვა 1:0 ამკარი**

1:0 კირიჩენკო (74)



ვლადიმერ ეშტრეკოვი მსაჯებმა გააბრაზეს

**მოსკოვის** „ლოკომოტივის" უძლეველი, 20-მატჩიანი სერია ყაზანში „რუბინმა" შეწყვიტა. თათრეთის გუნდს ამ სეზონში მოსკოველებთან შინ არ წაუგიათ და თავის სერიას „აცხობენ". „რუბინმა" მოიგო, მაგრამ „ლოკოს" მწვრთნელ ვლადიმერ ეშტრეკოვს ნამატჩევს სალაპარაკო გაუჩნდა, რადგან მე-12 წუთზე სტუმართა კარში დანიშნული პენალტი საეჭვოდ მიიჩნია, შედეგად მასპინძლები დაწინაურდნენ.

33-ე წუთზე ასათიანის დაჯარიმებაც ეშტრეკოვს „სასტვენიდან გამოწოვილი" ჰგონია. ამ ჯარიმას მოსკოველთა კარში მეორე გოლი მოჰყვა. 49-ე წუთზე რუბინელმა საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელით გააჩერა, მსაჯმა პეტაიამ კი პენალტი არ დანიშნა.

ზემოთ ჩამოთვლილი პრეტენზიები ვლადიმერ ეშტრეკოვმა პრესკონფერენციაზე „გამოფინა". მანვე ისიც თქვა, რომ ვიღაცას „ლოკომოტივის" ლიდერობა არ სურს და ჩვენს დასამუხრუჭებლად ბინძურ ხერხებს მიმართავსო.

მოკლედ, რკინიგზელებმა სეზონში პირველი მატჩი წააგეს, თუმც აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩემპიონატის ლიდერებმა გასული კვირის შუაში „რაბოტნიჩკისთან" დაღლამდე იმუშავეს, ზეგ კი „რაპიდს" სტუმრობენ. ავსტრიელებთან ორმატჩიან ჯახში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური თამაშდება და „ლოკოს" ყაზანში თავისდაუნებურად ამაზე ფიქრობდა.

სანკტპეტერბურგის „ზენიტმა" ლიდერის მარცხით ისარგებლა და მასთან სხვაობა რვა ქულამდე შეამცირა. ნევისპირელებმა „ტომს" უმასპინძლეს, რომელსაც ახალი, დროებითი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი ჰყავს. იგი ადრე „ზენიტშიც" მუშაობდა და „პიტერში" მისმა ჩასვლამ რიგი რია გამოიწვია, ზენიტელებმა კი ყოფილი მწვრთნელის გუნდს მხოლოდ ერთი გაუტანეს. სპივაკმა პირველი ტაიმის მიწურულს ტომსკელთა მეკარეს ბურთი თავზე გადააგდო.

ვალერი გაზაევის ცსკა-მ ბოლო ორ მატჩში მხოლოდ ორი ქულა აიღო. „მოსკოვთან" ფრის შემდეგ არმიელებმა სამარაში მოგებაც ვერ შეძლეს, მიუხედავად იმისა, რომ „კრილია სოვეტოვს" ორჯერ უყებდნენ.

ცსკა იგნაშევიჩმა მეოთხე წუთზე დააწინაურა, მაგრამ სამარელმა გუსინმა მალევე პენალტით გაათანაბრა. თავისი „გუსი" სტუმრებსაც ჰყავდათ და როლან გუსევმა ტაიმის მიწურულს მეორე გაიტანა.

შესვენების შემდეგ „კრილიამ" აშკარად დაჩაგრა მეტოქე, ხოლო მატჩის ბოლოსწინა წუთზე ბაბა ადამუმ აკინფეევის მოგერიებულ ბურთს სავოლედ დაამატა.

პორტუგალიელი ლეგიონერების გაძლიერებამ მოსკოვის „დინამო" ახალი მწვრთნელის, ბრაზილიელი ივო ვორტმანის თავკაცობით პირველი მატჩი მოიგო. ჟორჟე რიბეირომ მეორე ტაიმის დასაწყისში გაუტანა „სატურნს", ხოლო მატჩის ბოლოს მასპინძლებს მცველი გაუძევეს.

**ვაჟა ფშაველი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 21 | 12 | 8 | 1 | 31:9 | 44 |
| ზენიტი | 20 | 10 | 6 | 4 | 31:17 | 36 |
| ცსკა | 19 | 9 | 6 | 4 | 30:13 | 33 |
| რუბინი | 19 | 8 | 8 | 3 | 23:17 | 32 |
| მოსკვა | 18 | 7 | 7 | 4 | 19:11 | 28 |
| სპარტაკი | 18 | 7 | 6 | 5 | 27:19 | 27 |
| ტორპედო | 19 | 6 | 8 | 5 | 22:18 | 26 |
| შინიკი | 19 | 6 | 8 | 5 | 15:16 | 26 |
| დინამო | 19 | 8 | 1 | 10 | 21:29 | 25 |
| სატურნი | 19 | 5 | 6 | 8 | 13:14 | 21 |
| ამკარი | 18 | 3 | 11 | 4 | 14:21 | 20 |
| კრილია | 20 | 4 | 8 | 8 | 19:29 | 20 |
| ტომი | 19 | 4 | 7 | 8 | 13:20 | 19 |
| ალანია | 19 | 4 | 6 | 9 | 15:28 | 18 |
| ტერეკი | 19 | 4 | 4 | 11 | 11:27 | 16 |
| როსტოვი | 18 | 2 | 6 | 10 | 10:26 | 12 |

# გახსოვდეთ, ნაკამურა!

## შოტლანდია

პრემიერლიგა. II ტური

**სელტიკი 2:0 დანდი იუნ.**

1:0 ჰართსონი (37), 2:0 კ. ბიტი (88)

**ინვერნესი 0:1 რეინჯერსი**

0:1 ფ. ჰერგიუსონი (69)

**აბერდინი 1:2 კილმარნოკი**

0:1 ა. ჯონსტონი (1), 1:1 რ. ანდერსონი (34), 1:2 ს. ნეისმიტი (72)

**ლივინგსტონი 0:2 ფოლკირკი**

0:1 ლეტაპი (28), 0:2 დ. დაფი (72)

**მოზერუელი 1:0 დანფერმლაინი**

1:0 ჯ. ჰამილტონი (90)

**ჰართსი 4:0 ჰიბერნიანი**

1:0 შკასელი (13), 2:0 ჰარტლი (58), 3:0 ს. სიმონსი (71), 4:0 მიკოლიუნასი (83)

**„პეტრუჟალკასგან"** ნაყიდმა გლაზგოს „სელტიკმა" ჩემპიონატში პირველი მატჩი მოიგო — „თეთრმწვანეებმა" „დანდი იუნაიტედს" სძლიეს, გლაზგოელთა მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა კი შუნსუკე ნაკამურა აქო და ადიდა. დანდელებთან შეხვედრაში იაპონელის დებიუტი შედგა.

მისი თამაშით მოხიბლულმა სტრაჩანმა განაცხადა: „ნაკამურა ფანტასტიკური ფეხბურთელია. არასოდეს მინახავს სხვა რომელიმე მოთამაშის მსგავსი ბრწყინვალე დებიუტი. მან აჩვენა, თუ ასე ძალიან რატომ გვსურდა მისი შეძენა. ბედნიერი ვარ, რომ ის „სელტიკელი" გახდა. შუნსუკე ნაკამურა ჯერ ასი პროცენტით მზად არაა და მიუხედავად ამისა, საუკეთესო იყო".

იაპონელი ლეგიონერი „დანდი იუნაიტედთან" მატჩში საუკეთესოდ ალიარეს. „კონფედერაციის თასზე ბრაზილიასთან მატჩის შემდეგ არ მითამაშია, მაგრამ ვფიქრობ, რომ „სელტიკის" ფანები არ გავაწბილე"-თქვა მან.

გორდონ სტრაჩანმა დანარჩენი პრემიერლიგელები „დააშინა", ჩვენ ისეთი ფეხბურთელი გვყავს, წინ ვერავინ დაგვიდგებაო.

„დანდი იუნაიტედის" პირველი გოლი ჯონ ჰართსონმა გაუტანა, ხოლო ტაშიც გაცილებული ნაკამურას ნაცვლად შესულმა კრეიგ ბიტიმ მეორე მიაყოლა.



შუნსუკე ნაკამურა

გლაზგოს „რეინჯერსს" სტუმრად „ინვერნესის" დაჩაგვრა გაუჭირდა და მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო. საქმიდ უხეშ მატჩში „რეინჯერსს" მხსნელად ბარი ფერგიუსონი მოევლინათ, რომელმაც მეორე ტაიმის შუაწელს დიდი პრსის პასით იხეირა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სელტიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 4 |
| მოზერუელი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ჰართსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ინვერნესი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ფოლკირკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| კილმარნოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| ჰიბერნიანი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აბერდინი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| დანფერმლაინი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| დანდი იუნ. | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ლივინგსტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

I დივიზიონი. I ტური

ბრეჩინი — ჰამილტონი 1:2; როსი — კლაიდი 3:1 ; სტრანრარი — ერდრი 1:0; სტ. ჯონსტონი — ქუინი 4:0; დანდი — სტ. მირენი 3:2

II დივიზიონი. I ტური

პარტიკი — სტირლინგი 0:0; ნორტონი — რეითი 2:0; ალოა — პიტერჰედი 4:1; გრეტნა — ფორფარი 5:1; ეარი — დამბარტონი 2:0

III დივიზიონი. I ტური

ისტ სტირლინგი — კოუდენბითი 0:1; ალბიონი — არბროთი 2:2; ისტ ფაიფი — ბერიკი 0:4; ელგინი — მონტროუზი 0:0; ქუინზ პარკი — სტენჰაუსმური 1:2

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 15:45 | 1 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.20 | 3.40 | 1.80 | 1.87 | 1.25 | 1.17 |
| 18:00 | 2 | ფულემი-ბირმინგემი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 3 | სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 18:00 | 4 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 2.65 | 3.30 | 2.45 | 1.46 | 1.27 | 1.40 |
| 18:00 | 5 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| 18:00 | 6 | ვესტ ჰემი-ბლექბერნი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| 18:00 | 7 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 20:15 | 8 | მიდლსბრო-ლივერპული | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 9 | არსენალი-ნიუკასლი | 1.45 | 3.60 | 8.00 | 1.03 | 1.22 | 2.48 |
| 19:00 | 10 | უიგანი-ჩელსი | 8.00 | 4.50 | 1.35 | 2.88 | 1.15 | 1.03 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 11 | პრესტონი-დერბი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 22:15 | 124 | აუე-ალემანია | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 186 | დიჟონი-კლერმონი | 1.70 | 3.00 | 4.80 | 1.08 | 1.25 | 1.84 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 18:40 | 236 | სიგმა-ბანიკი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 276 | ვიკინგი-სტარტი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 300 | ელფსბორგი-ჰეკენი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 21:00 | 301 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| 21:00 | 302 | სუნდსვალი-გეფლე | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 310 | აიკ-ნორჩიოპინგი | 1.60 | 3.50 | 4.90 | 1.09 | 1.20 | 2.04 |
| 21:00 | 311 | გაის-მიალბი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 23:15 | 329 | ფრამი-ვალური | 3.30 | 3.20 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 23:00 | 449 | შელბურნი-დროგედა | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 14:00 | 407 | ბაზელი-ვერდერი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 14:00 | 408 | შახტარი-ინტერი | 3.00 | 3.00 | 2.25 | 1.50 | 1.28 | 1.28 |
| 14:00 | 409 | ევერტონი-ვილიარეალი | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| 14:00 | 410 | სპორტინგი-უდინეზე | 1.90 | 3.00 | 3.80 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| 14:00 | 411 | ბეტისი-მონაკო | 1.80 | 3.10 | 4.00 | 1.13 | 1.24 | 1.74 |
| 14:00 | 412 | ვისლა-პანათინაიკოსი | 2.35 | 3.10 | 2.60 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| 22:00 | 450 | ანორთოსისი-რეინჯერსი | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 22:00 | 451 | ვოლერენგა-ბრიუგე | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 22:00 | 452 | მანჩესტერი-დებრეცენი | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 20:30 | 453 | მალმიო-თუნი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 20:30 | 454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 22:00 | 455 | პეტრჟალკა-პარტიზანი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 22:00 | 456 | სტიაუა-რუსენბორგი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 22:30 | 457 | ანდერლეხტი-სლავია | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 22:30 | 458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 5.00 | 3.30 | 1.60 | 1.98 | 1.21 | 1.07 |
| 22:30 | 459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |


CROCO BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24


**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## საქართველოს თასის ფინალი. 6 აგვისტო. „მიხეილ მესხი“

**ლოკომოტივი 24:9 ლელო**

**ლოკომოტივი:** გიორგი ასათიანი, ლექსო გუგავა, გიორგი კობერიძე, კახა ალანია (კაპ), სანდრო გილაური; ბობა კვინიხიძე, ბიძინა სამხარაძე; ბექა ყურაშვილი, შალვა სუთიაშვილი, ზვიად მაისურაძე, გიორგი კახიანი, ნიკა მხეიძე, გიორგი ჟღენტი, გიორგი ჯოხია, დავით გასვიანი

**შეცვლაზე შევიდნენ:** ზვიად კობერიძე, შოთა მელიქიძე

*3 ლელო: სუთიაშვილი, მაისურაძე, ზ. კობერიძე; 3 საჯარიმო: კვინიხიძე*

**ლელო:** ირაკლი ყიასაშვილი, ალექსანდრე თოდუა, გიორგი მჭედლიშვილი, ლაშა ფირფილაშვილი, ედიშერ ჯამრულიძე; ოთარ ბარკალაია, მერაბ კვირიკაშვილი; რევაზ ბელქანია, ბექა სარდანაშვილი, გიორგი რამაზაშვილი, ილია კახოიძე, მამუკა გორგოძე (კაპ), დავით ქუბრიაშვილი, დავით კობეშავიძე, გიორგი სანიკიძე

*3 საჯარიმო: ყიასაშვილი (2), კვირიკაშვილი*

**მსაჯი:** გია ჯავახიშვილი

# ლოკომოტივი ლელოს ლელოში



ნუკრი ვარდანიძის ფოტო

შაბათს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შარშანდელი ჩემპიონი „ლელო“ და გასული წლის თასის მფლობელი „ლოკომოტივი“ გადაეყარნენ და აგვისტოს სიცხის მიუხედავად, საკმაოდ საინტერესო და დაძაბული ბურთაობა გაამართეს.

ანგარიშმა არ მოგატყუოთ, ბოლო ორი ლელო „ლოკომოტივმა“ მატჩის ბოლო წუთებზეღა გაიტანა, როდესაც „ლელო“ დაცვაზე უკვე ნაკლებად ფიქრობდა და ანგარიშის გასათანაბრებლად თავგანწირული უტევდა. თანმიმდევრობით მოვყვეთ.

მატჩის დასაწყისი „ლელოსი“ იყო და მესამე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ყიასაშვილის მიერ საპირისპირო ფლანგზე ფეხით გადმოკიდებული ბურთი სანდრო თოდუას ხელიდან რომ არ გავარდნოდა, ეგებ ჩათვლის მოედანზეც შეეღწია — ორიოდ მეტრიღა იყო დარჩენილი.

ლელოელთა ათწუთიანი შტურმი ირაკლი ყიასაშვილის ზუსტი საჯარიმოთი დასრულდა, თუმცა ლოკომოტივი მალევე მოეგო გონს და როგორც იქნა, თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანა. სულ მალე ბობა კვინიხიძემ საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. ამას ყიასაშვილის გაცუდებული დარტყმა მოჰყვა, მერე კი კვინიხიძემ კიდევ ერთხელ გაისროლა ზუსტად და თავისიანები 6:3 დააწინაურა.

შესვენებამდე „ლელოს“ რიგებიდან კიდევ ერთხელ გამოირჩა ყიასაშვილი. 21-წლამდელებს შორის ევროპის ჩემპიონმა პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთზე საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა, თუმცა მანამდე მან და მეკო კვირიკაშვილმა სამჯერ გააცუდეს სამქულიანი დარტყმები. ერთი გაფუჭებული დარტყმა კი პირველ ნახევარში „ლოკოს“ მხრიდან კვინიხიძემ „მიითვალა“.

მეორე ტაიმი ისევ „ლელოს“ უპირატესობით დაიწყო. სცენარი თითქმის პირველი ორმოცწუთეულის იდენტური გამოდგა. ათიოდ წუთი უტევდა „ლელო“ და დროის ეს მონაკვეთი ზუსტი საჯარიმოთი დაგვირგვინდა. ამჯერად დარტყმის ავტორად კვირიკაშვილი მოგვევლინა, რომელმაც დაახლოებით 48 მეტრიდან გააძვრინა ბურთი ძელებს შორის.

ხუთიოდ წუთში კვინიხიძემ ანგარიში ისევ გაათანაბრა და კიდევ სამ წუთში სუთიაშვილმა „ლელოს“ ლელოში დაამიწა ბურთი. კვინიძიხემ ვერც ეს ლელო გარდასახა და ვერც მომდევნო ორი, თუმცა ამის მიუხედავად, „ლოკომ“ ხუთქულიანი უპირატესობა მოიპოვა, რაც ასეთ დაძაბულ ბრძოლაში ცოტას როდი ნიშნავდა.

„ლელომ“ მცირე უპირატესობა იგდო ხელთ და შეუტია, თუმცა ძირითადად საჯარიმო დარტყმების წყალობით სცადა ფონს გასვლა. როდესაც გუნდში მეკო და ყიასაშვილი გყავს, მწვრთნელის მიერ არჩეული ასეთი ტაქტიკის გამართლება ძნელი არაა, მაგრამ არ იქნა და არც ერთს არ წაუვიდა დარტყმა.

ერთხელ კი „ლელო“ ძალიან ახლოს იყო მიზანთან. მამუკა გორგოძემ მეტოქის დაცვა მარჯვენა ფლანგთან ახლოს გაარღვია და პარტნიორს ზურგსუკნიდან გენიალური პასი მიართვა, მანაც ფლანგზე გაჭრილ თოდუას გადააწოდა და ამ უკანასკნელს ხელიდან რომ არ გავარდნოდა ბურთი...

ფაქტია, გაუვარდა და ამის შემდეგ კვლავ ვაკელებმა იგდეს უპირატესობა ხელთ. შედეგად კიდევ ორი ლელო გამოცხვა. პირველის ავტორად ზვიად მაისურაძე მოგვევლინა, მეორედ კი ზვიად კობერიძემ იხეირა.

24:9 „ლოკომოტივმა“ იმარჯვა და თასს დაეუფლა. მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელებულ ლოკომოტიველ შალვა სუთიაშვილს და ლელოელ რეზო ბელქანიას კი სპორტის დეპარტამენტის მიერ დაწესებული პრიზები, ფერადი ტელევიზორები გადაეცათ.

**ლადო ფულუკიძე**

### ნათქვამია

***თემურ ბენდიაშვილი „ლოკომოტივის“ მწვრთნელი:*** „ეგებ ტრაფარეტულად ჟღერდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ფინალური მატჩი ყოველთვის დაძაბულია და არც დღევანდელი შეხვედრა ყოფილა გამონაკლისი. მინდა, თავიდანვე ვაღიარო, რომ სათანადოდ ვერ მოვემზადეთ და ეს გამოჩნდა კიდეც. მიუხედავად გამარჯვებისა, ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. მეტოქეს აშკარად უფრო კარგად ჰქონდა გააზრებული ჩვენი თამაშის სტილი, ვიდრე ჩვენ მათი. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ სწორედ იქ გვაჯობა „ლელომ“, სადაც ჩვენი უპირატესობის გვეიმედებოდა და ყველა ჩვენ ჩანაფიქრს ცივი წყალი გადაასხა.

— თუ მეტოქემ ტაქტიკურ ანალიზში გაჯობათ, როგორღა გაიმარჯვეთ?

— ბოლო 20 წუთში ის მოხდა, რაც ხშირად ხდება ხოლმე რაგბიში. თამაში გაიხსნა და აქ კი უკვე ჩვენ ვიყოჩაღეთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სანამ ჩაკეტილი თამაში მიდიოდა, „ლელომ“ გვაჯობა.“

***ლევან მაისაშვილი „ლელოს“ მწვრთნელი:*** „პირველ რიგში „ლოკომოტივს“ გამარჯვებას ვულოცავ. მართლაც დაძაბული მატჩი იყო, თუმცა ვფიქრობ, გამარჯვებაც შეგვეძლო. თავს არ ვიმართლებ და ჩემს წილ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ მგონია, რომ არ გაგვიმართლა. ხშირ შემთხვევაში იღბალი არ გვწყალობდა, ზოგჯერ კი ისეთ გადამწყვეტ მომენტებში დავუშვით შეცდომები, საბოლოოდ მატჩის ბედიც კი გადაწყვიტა. ეს უკვე გამოუცდელობის ბრალია.

— უკანა ხაზში აშკარად მეტოქეზე სუსტად გამოიყურებოდით.

— რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდა და ახალგაზრდების დაყენება მოგვიწია. მეტს ვერაფერს ვიტყვი, „ლოკომოტივს“ კი კიდევ ერთხელ ვულოცავ გამარჯვებას.

6 აგვისტო. კეიპტაუნი

**ს. აფრიკა 22:16 ახ. ზელანდია**

**სამხრეთ აფრიკა:** პერსი მონტგომერი, ბრეიტონ პოლსი, ჟაკ ფური, ჟან დევილიერი; ანდრე პრეტორიუსი, ენრიკო ჯანუარი; ჯო ფან ნიკერკი, ხუან სმიტი, შალკ ბურგერი, ვიქტორ მეტფილდი, ბაკიზ ბოთა, სიჯეი ფან დერ ლინდე, ჯონ სმიტი (კაპ), ოზ დუ რანდტი

**სათადარიგოები:** ჰანიანი შიმანჯი, გურთრო შტინკამპი, ალბერტ ფან დენ ბერგი, ჟაკ კრონჩე, ფიური დიყპრე, უეინ იულსი, კაკო ფან დერ ვესტჰოიზენი

*1 ლელო:* დევილიერი; *1 გარდასახვა:* მონტგომერი; *4 საჯარიმო:* მონტგომერი; *1 არეკნი:* პრეტორიუსი

**ახალი ზელანდია:** ლეონ მაკდონალდი, რიკო გირი, ტანა უმაგა (კაპ), აარონ მაუგერი, ეილს მულიაინა; დენ კარტერი, ბაირონ კელეჰერი; როდნი სოოიალო, რიჩი მაკქოუ, ჯერი კოლინზი, ალი უილიამსი, კრის ჯეკი, კარლ ჰაიმანი, კევენ მეალამუ, ტუნი ვუდკოკი

*სათადარიგოები: დერენ უიტკომბი, გრეგ სომერვილი, ჯეიმს რაიანი, მარტი ჰოლა, პირი უიიპუ, ლიურ მაკალისტერი, ჯო როკოკოკო*

*1 ლელო: გირი; 1 გარდასახვა: კარტერი; 3 საჯარიმო: კარტერი*

# ქურციკები პირველ ჩვენებას აწვებიან
## კეიპტაუნში ფავორიტი გაშავდა

**იშვიათად** ხდება ხოლმე რაგბიში, რომ ერთი ტურნირის განმავლობაში გუნდმა ორ მეტოქეს ერთი და იგივე ანგარიშით მოუგოს. უფრო იშვიათად, რომ ეს ამბავი ზედიზედ მიყოლებულ მატჩებში დაატრიალოს ვინმემ, თუმც მთავარი ეს არ არის. სამხრეთაფრიკელმა „ქურციკებმა“ ავსტრალია და ახალი ზელანდია მიაწყვეს ერთმანეთზე და გასაკვირი სწორედ ეს გახლავთ.

შაბათს კეიპტაუნის „ნიულენდ სტედიუმზე“ ერთი კვირის წინანდელი მატჩის სცენარი განმეორდა. სამხრეთაფრიკელებმა და ახალზელანდიელებმა ერთმანეთს თითო ლელო გაუტანეს, მატჩის ბედი კი საჯარიმო დარტყმებმა გადაწყვიტა, რომელიც სამხრეთაფრიკელებს ორით მეტი გამოუვიდათ.

კარჩაკეტილ შეხვედრაში დაცვის ხაზმა განსაკუთრებული როლი ითამაშა, საუკეთესო კი მოედანზე მაინც შალკ ბურგერი გახლდათ, რომელიც მისთვის უჩვეულოდ, აუღელვებლად და დისციპლინირებულად თამაშობდა.

დაძაბული დუელი არ შედგა ორ „კაციჭამიას“ ბურგერსა და ახალზელანდიელ რიჩი მაკქოუს შორის. სამხრეთაფრიკელმა ისე ითამაშა, როგორც უკვე ჩამოყალიბებულმა ვარსკვლავმა, რიჩი კი, როგორც ჩანს, ჯერაც არ არის ტრავმის შემდეგ ოპტიმალურ ფორმაში.

პერსი მონტგომერის საჯარიმო დარტყმის და ანდრე პრეტორიუსის არეკნის შემდეგ მასპინძლები 6:0 დაწინაურდნენ, ცოტა ხანში კი ჟან დევილიერმა ლელო მიითვალა და მონტგომერის გარდასახვის შემდეგ თამაშის პირველ ათ წუთში ანგარიშმა 13:0-ს უწია.

„ქურციკთა“ ლელოს შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ ზელანდიელთა ცხრიანი, ბაირონ კელეჰერი შესაცვლელი შეიქნა. კელეჰერმა ტრავმა მეტფილდთან შეჯახებისას მიიღო. მის ადგილზე გამოსულმა პირი უიიპუმ „შავების“ თამაში ოდნავ გამოაცოცხლა, თუმცა საბოლოოდ სტუმართა ბურთაობა ძალიან შორს იყო მათთვის ჩვეული სილაღისგან.

ახალზელანდიურ „გამონათებად“ რიკო გირის მიერ გატანილი და დენ კარტერის მიერ გარდასახული ლელო უნდა მივიჩნიოთ. შვიდმა ქულამ მომხვდურიც მოქოქა და მატჩსაც ინტრიგა დაუბრუნა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბოლოო შედეგზე გავლენა სამქულიანმა დარტყმებმა იქონია.

„ქურციკმა“ პერსი მონტგომერიმ 4 საჯარიმო დაარტყა ზუსტად, მისმა მოწინააღმდეგე დენ კარტერმა კი — 3. სამხრეთაფრიკელთა მონაგარს პრეტორიუსის არეკნაც მიათვალეთ და 22:16-ს მიიღებთ.

როგორც ჩანს, სამხრეთაფრიკელებმა ორივე მატჩისათვის ერთმანეთის მსგავსი ტაქტიკა არჩიეს. თამაშს კეტავენ და მონტგომერის სიზუსტესა თუ პრეტორიუსის საარეკნოდ შემართული ფეხის იმედზე არიან.

გასვლით თამაშებშიც მოაწყობა თუ არა სამხრეთ აფრიკა „პირველ ჩვენებას“, მომავალი გვაჩვენებს, მანამდე კი 13 აგვისტოს სიდნეიში ავსტრალია — ახალი ზელანდიის რკენას დაველოდოთ. ფრიადი სანახავიც იქნება და იმ მატჩში ბევრი რამეც გადაწყდება.

**ლადო ფულუკიძე**

| | თ | მ | ფ | წ | შ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 42:22 | 0 | 8 |
| ავსტრალია | 1 | 0 | 0 | 1 | 16:22 | 1 | 1 |
| ახალი ზელანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 16:22 | 1 | 1 |

# გორდონის ლოგიკა -64 ლოგიკურია



გაიოზ კვინიკაძის ფოტო

ბომრიო. 6 აგვისტო
**იტალია 112:48 საქართველო**
29:11 27:19 31:13 25:5
**იტალია:** მარჩინელი (16), კიაჩიგი (14), მორდენტე (12), პარადეტი (11), პოცეკო (10), ბულერი (10), რიგეტი (10), რესი (7), მარკონატო (7), სორანა (4), ჯილი (4), გალანდა (3), რიტადინი (2), პეჩილე (2), ბაზილე
**საქართველო:** გამყრელიძე (1), ცინცაძე (5), ვ. ბოისა (10), იმნაძე (13), უგრეხელიძე (7); საყვარელიძე (5), ხეცურიანი (3), გ. მარკოიშვილი (2), მდივანი (2), ა. ბოისა

**ერთობ** წარმტაც გარემოში, მაგრამ უსიამოვნო ვითარებაში დაიწყო გორდონ ჰერბერტის სამწვრთნელო კარიერის ქართული მონაკვეთი. საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კანადელ თავკაცს სადებიუტო მეტოქედ ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი იტალია შეხვდა და ვაი, ამ შეხვედრას.

იტალიური ალპების ტყიან ხეობაში შეფარულ კურორტზე, ბორმიოში მყოფმა საქართველოს არასრულმა ნაკრებმა ამ ზაფხულის პირველი საკონტროლო მატჩი გამართა და სრულ იტალიასთან პირწმინდად განადგურდა. ეს იყო საქართველოს მეხუთე მარცხი აპენინელებთან.

სათქმელია, რომ ეს იტალია ბევრით არ განსხვავდებოდა შარშანდელისგან, რომელსაც ქართველები ზუსტად ერთი წლის წინ სან ჯორჯოს ოთხთა ტურნირზე (იტალია, რუსეთი, შვედეთი, საქართველო) შეხვდნენ. მაშინ ჩვენს გუნდს დრაჟენ ბრაიკოვიჩი თავკაცობდა, საქართველომ გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია მასპინძლებს და 76:100 დათმო.

ახლა? რა წინააღმდეგობა, რის ... ამ კრებულს, რომელსაც აკლდნენ ნბა-ელები (შემონდ უილიამსის ჩათვლით), მანუჩარ მარკოიშვილი, ნაცვლიშვილი და სანიკიძე, ძნელად დაერქმეოდა გუნდი და მით უმეტეს, ამბიციური ნაკრები. ძირითადი ბირთვიდან ჰერბერტის განკარგულებაში იყვნენ მხოლოდ ვლადიმერ ბოისა და გიორგი ცინცაძე. ვოვას ნაღდად არ აკლია უმაღლეს დონეზე ძლიერ მეტოქეებთან თამაშის პრაქტიკა, მაგრამ ისიც ვერაფრით გამოირჩეოდა ორგანიზებულ იტალიელებთან ბრძოლაში. რაც შეეხება გიორგი ცინცაძეს, „ბუმ“ 9-ჯერ დაკარგა ბურთი. ხოლო იტალიელთა ვეტერანმა გამთამაშებელმა ჯანმარკო პოცეკომ ქართველებს 9-ჯერ ჩაუჭრა ბურთი. ეს შედარება ნიშანდობლივია ყველა რგოლისთვის, რაკი ის, რაც გადასარევად გამოსდიოდათ იტალიელებს, საერთოდ არ გამოსდიოდათ ქართველებს და მოდით, თავს ნუ გამოვიდებთ და ნუ ვიტყვით, მეტს მოველოდითო. ეს არ იყო საქართველოს ნაკრები, ხოლო იტალია ვინაა, ამ თემასაც ნუღარ ჩავუღრმავდებით.

სხვა საკითხია, ღირდა თუ არა ოლიმპიურ ვიცე-ჩემპიონებთან ამ შემადგენლობით თამაში და 64-ქულიანი თავის მოჭრა.

ერთი რამაა ცხადი — მისტერ ჰერბერტს გვარიანი ჯაფა დაადგება, უცხოეთში მოთამაშეებს პლუს ორი-სამი „აქაური“ ქართველისგან ბრძოლისუნარიანი გუნდის შესაქმნელად და ამისთვის მას არც ისე დიდი დრო და კიდევ რამდენიმე საკონტროლო თამაში დარჩა. წუხელ ღამით ქართველები ცენტრალური აფრიკის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს უნდა შეხვედროდნენ, ხოლო 11-13 აგვისტოს ისინი ითამაშებენ ოთხთა ტურნირში, რომელშიც ქართველთა და მასპინძელ იტალიელთა გარდა მონაწილეობენ თურქეთის და ბულგარეთის ეროვნული გუნდები.

ქვემოთ გთავაზობთ გორდონ ჰერბერტის ნადებიუტევ კომენტარს, რომლის მოპოვებაშიც დაგვეხმარნენ ჩვენი ნაკრების თიმლიდერი მერაბ რატიშვილი და კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ზურაბ თალაკვაძე.

გორდონ ჰერბერტი: „ნაკრებმა ჩემი ხელმძღვანელობით პირველი შეხვედრა ჩაატარა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ოპტიმალური შემადგენლობა არ გვყოლია, შედეგი სავსებით ლოგიკურია. ტურნირზე ჩამოსვლისას ჩვენი მიზანი ნამდვილად არ იყო ყველა მატჩის მოგება. რა თქმა უნდა, გამარჯვება სასიამოვნოა, მაგრამ მთავარი მაინც იმ ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევაა, რომელიც უმნიშვნელოვანეს შეხვედრას ჩაატარებს ფინეთში. არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩი გველის თბილისში მაკედონიასთან.

გორდონ ჰერბერტმა თავი შეიკავა იტალიასთან თამაშის შემდეგ რომელიმე კალათბურთელის გამორჩევისგან — დაველოდოთ სხვა მატჩებს, როცა ყველაზე შემექმნება წარმოდგენაო.

**კოტე ყორშია**

# კადეტები ძლიერ გერმანიას გადაეყარნენ

**ბულგარეთში** მიმდინარე კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა პირველი მარცხი იწვნია. მანამდე ხუთიდან ხუთის მომგები გელა წულაძის გუნდი მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ბოსნიამ შეაჩერა და ჯგუფში მეორე ადგილს დააჯერა.

ქართველ კადეტებს ნახევარფინალის საგზური ამ თამაშამდეც ჰქონდათ განაღდებული, თუმც ბოსნიასთანაც რომ ემარჯვათ, ლიდერობას ინარჩუნებდნენ და ფინალში გასასვლელად შედარებით სუსტ მეტოქეს დაუპირისპირდებოდნენ.

თამაში ჩვენთვის სასურველი სცენარით დაიწყო და პირველ მეოთხედში წულაძის გუნდმა მეტოქეს ცხრაქულიანი უპირატესობით სძლია — 23:14. მეორე ათწუთეულში ქართველები რატომღაც მოდუნდნენ, შეცდომებსაც უმატეს და ბოსნიამაც სხვაობის შემცირება იწყო. მშვენივრადაც გამოუვიდა, შესვენებამდე ჩამორჩენა მთლიანად გააბათილა და მეორე ტაიმი ფრით დაიწყო.

თამაშის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყდა, ექსიუგოსლავიელებმა ჩვენებურებთან სამქულიანი ჩამორჩენაც აღმოფხვრეს და ზედ ზედმეტი ხუთი ქულაც წაამატეს — 84:79.

ამ შეხვედრის შემდეგ საქართველოს და ბოსნიას თანაბარი ქულები გაუგროვდათ, მაგრამ ბურთების სხვაობა ბოსნიელებისა უკეთესი აღმოჩნდა და ჯგუფში პირველობაც მათ დარჩათ.

ნახევარფინალები დღეს საღამოს გაიმართება. საქართველო გერმანიას ეთამაშება, ხოლო ბოსნია — პორტუგალიას. გამარჯვებულები კი ფინალის საგზურებთან ერთად ევროპის A ჯგუფში თამაშსაც გაინაღდებენ.

ორი სიტყვა ჩვენს დღევანდელ მეტოქეზეც ვთქვათ. გერმანიამ მეორე ჯგუფურ ეტაპზე სამიდან სამი მოიგო და აშკარაა, ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად რჩება. ბოლო შეხვედრაში ამ გუნდმა მანამდე რიგიანად მოთამაშე ინგლისი 100:40 გაანადგურა.

**ოთარ გალლაკელიძე**



# კინკილა ბრინჯაო

**პოლონეთის** ქალაქ ვროცლავში საჭიდაო კვირეული გუშინ ბერძენ-რომაელებმა დახურეს. კვირის დასაწყისში საქართველოს თავისუფალთა ახალგაზრდული ნაკრების ორ-ორ ოქროვერცხლს შაბათ-კვირას ახალგაზრდა კლასიკოსებმა ოდენ ერთი ბრინჯაო წაამატეს.

ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკზე 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე გიორგი გვენეტაძე ავიდა. ნახევარფინალამდე აზერბაიჯანელ რამინ კარიმოვს და გერმანელ ფლორიან კუსიუსს ძალიან იოლად გაუსწორდა, მაგრამ მომავალ ჩემპიონთან, რუს მაქსიმ მორდოვინთან ვეღარას გახდა და მისი ჯავრი რეპეშაჟის ფინალში ბულგარელ რადოსლავ პალჩევზე იყარა.

დანარჩენ ქართველთაგან ყველაზე უკეთ ახლახან ახალგაზრდულ თამაშებზე გაჩემპიონებულმა შმაგი სალთხუციშვილმა (74 კგ) იჭიდავა. თურქი რამაზ საჰინისა და ბელარუსი ვალერი პალენსკის ძლევის შემდეგ მეოთხედფინალში რუსეთის სახელით მოჭიდავე გიორგი ფოფხაძესთან ვეღარას გახდა. წესით ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ ტურნირის მიმომხილველი ვებ-გვერდის ცნობით რეპეშაჟში აღარ უჭიდავია. მოგვიანებით ოქრო ფოფხაძემ ირგუნა, ხოლო ბრინჯაო კიდევ ერთი სხვა ქვეყნის სახელით მოასპარეზე ნუგნებურს, უკრაინელ ბექა ქორქარაშვილს დარჩა.

სამწუხაროდ ქართველთა პოლონურ გამოსვლაზე წერა აქ უნდა დავასრულოთ. ზვიად აბულაძე (60 კგ) და მარად სურმანიძე (66 კგ) მეორე წრიდან გამოეთიშნენ ტურნირს. ლაშა გოგიტაძემ (50 კგ), აკაკი ჯოხაძემ (84 კგ), გურამ ფერსელაძემ (96 კგ) და ოთარ ბოლქვაძემ (120 კგ) კი პირველივე წრეში წააგეს.

**ოთარ გალლაკელიძე**





## ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. შვედეთი, გეტებორგი

**შვედეთის** ქალაქ გეტებორგში შაბათ-კვირას კლუბებს შორის საჭადრაკო ევროპას ჩემპიონატზე ბოლო ორი ტური გაიმართა და გაპირველება, სამწუხაროდ ვერც ქალებმა შეძლეს და ვერც კაცებმა.

ქალბატონები საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ, კაცები კი მეშვიდეზე. ქვემოთ მერვე-მეცხრე ტურის შედეგებს გაეცანით.

**VIII ტური. 6 აგვისტო (კაცები)**

| | | |
|---|---|---|
| ისრაელი | 1,5-2,5 | საქართველო |
| ბორის გელფანდი | 0,5:0,5 | ბაადურ ჯობავა |
| ემილ სუტოვსკი | 0:1 | ლევან ფანცულაია |
| ილია სმირინი | 0,5:0,5 | მიხეილ მჭედლიშვილი |
| ბორის ავრუხი | 0,5:0,5 | ლაშა ჯანჯღავა |

**(ქალები)**

| | | |
|---|---|---|
| რუსეთი | 1,5-2,5 | საქართველო |
| ალექსანდრა კოსტენიუკი | 0:1 | მაია ჩიბურდანიძე |
| ეკატერინა კოვალევსკაია | 0,5:0,5 | მაია ლომინეიშვილი |
| ტატიანა კოსინცევა | 1:0 | ნანა ძაგნიძე |
| ალისა გალიამოვა | 0:1 | ქეთევან არახამია-გრანტი |

**IX ტური. 7 აგვისტო (კაცები)**

| | | |
|---|---|---|
| საბერძნეთი | 2,5-1,5 | საქართველო |
| ვასილიოს კოტრონიასი | 0,5:0,5 | ზურაბ აზმაიფარაშვილი |
| იოანის პაპაიოანუ | 0,5:0,5 | ბაადურ ჯობავა |
| ხრისტოს ბანიკასი | 1:0 | ლევან ფანცულაია |
| დიმიტრიოს მასტროვასილისი | 0,5:0,5 | მიხეილ მჭედლიშვილი |

**(ქალები)**

| | | |
|---|---|---|
| საბერძნეთი | 2-2 | საქართველო |
| ელენა დემბო | 0,5:0,5 | ნინო ხურციძე |
| ანა-მარია ბოცარი | 0,5:0,5 | მაია ლომინეიშვილი |
| მარინა მაკროპულუ | 0,5:0,5 | ნანა ძაგნიძე |
| ეკატერინე ფახირიდუ | 0,5:0,5 | ქეთევან არახამია-გრანტი |

**კაცები**

| | თ | მ | ფ | წ | გქ | ქჯ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 პოლანდია | 9 | 6 | 3 | 0 | 15 | 22,0 |
| 2 ისრაელი | 9 | 6 | 2 | 1 | 14 | 23,5 |
| 3 საფრანგეთი | 9 | 6 | 1 | 3 | 13 | 21,5 |
| 7 საქართველო | 9 | 5 | 2 | 2 | 12 | 19,5 |

**ქალები**

| | თ | მ | ფ | წ | გქ | ქჯ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 პოლონეთი | 9 | 6 | 3 | 0 | 15 | 23,0 |
| 2 საქართველო | 9 | 5 | 4 | 0 | 14 | 21,5 |
| 3 რუსეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 12 | 22,0 |

# ჩამოასხით, მუსიე!
## ეს გალების გაელისა იყოს!



მარი პირსი

### ACURA CLASSIC
**სან დიეგო. მაგარსაფარი**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**მეოთხედფინალი**

**მარი პირსი** (6, საფრანგეთი) — პატი შნიდერი (5, შვეიცარია) 6:4 6:3; **შუაი პენი** (ჩინეთი) — კიმ კლაისტერსი (7, ბელგია) 6:4 6:4; **აკიკო მორიგამი** (იაპონია) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) 6:3 6:4; **აი სუგიამა** (იაპონია) — სესილ კარატანჩევა (ბულგარეთი) 6:1 6:2

**ნახევარფინალი**

**პირსი** — პენი 6:2 6:2; **სუგიამა** — მორიგამი 6:4 4:3 *მორიგამიმ შეწყვიტა*

**ტურნირის** შარშანდელი ჩემპიონის, ლინდსი დევენპორტისა და დალა მისთა არყოფნაში და თან იმის მიუხედავად, რომ კიმ კლაისტერსის გარდა სანდიეგობაზე ჩოგანს ბობოლა რუსწინწკვების ზორბა რაზმიც აქნევდა, ფინალს მაინც ახლახანს გაოცდაათწლისებულმა არაფავორიტებმა — მარი პირსმა და აი სუგიამამ უწიეს.

პირსს წლეულს მართლაც გამორჩეული სეზონი აქვს. ორგზის სლემტიტულოსანმა ფრანგმა ბანოვანმა, როგორც ამ ბოლო, ტრავმიანობით წამურდლულ წლებში მისგან მოელოდნენ კიდეც, წელი ერთობ ისე-რად დაიწყო, პირველოც მატჩში მხოლოდ 12-ჯერ იმარჯვა და ოდენ ერთ მეოთხედფინალს მიატანა.

მაგრამ მერე უეცრად ყველაფერი ჩოგანყირა დადგა — პირსმა ჯერ მშობლიურ სეფეთიხნარზე გაიფინალა, მოგვიანებით უიმბლდონურ მეოთხედფინალში მოხვდა, ხოლო იმ დღეს გზა 19 წლის შუაი პენის ძლევით სანდიეგობის სატიტულე მატჩამდეც რომ გაიკაფა, ამით თავის ბოლო 17 შეხვედრაში უკვე მეთხუთმეტე გამარჯვება მოიმკა.

მოკლედ — პირსი ახლა უჩვეულოდ ახალისებულია და სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, თუკი გუშგვიან-ღამ მაინც გამოუვიდოდა ის, რაიც 1998 წელს არ გამოუვიდა, როცა რომ იქაურ ფინალში ლინდსი დევენპორტთან დათმო...

ტანადი გალი რომ რიგიან ფორმაშია, ეს მის მიერ პატი შნიდერსა და ზევით ხსენებულ პენთან მოხვეჭილმა იოლმა გამარჯვებებმაც ცხადყო. ოღონდ აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შნიდერიცა და პენიც ერთობ გადაღლილები ჩანდნენ.

26 წლის შნიდერს წლეულს კარიერის საუკეთესო სეზონთაგანი აქვს და გოლდ კოსტსა და ცინცინატიში რომ ორი ტიტული იშოვა, ხოლო რომაობაზე იფინალა, მთელ ამ ამბავში 14 მარცხის წილ 42 მოგება მოაქუჩა, რითაც — ეგებ თქვენც ითვლიდით — სეზონის აქამომდელ რეკორდოსან მარია შარაპოვასაც გადაუსწრო.

განსაკუთრებული ჯიგრით შნიდერმა ამერიკულ მაგარსაფრებზე შეუბერა და ამ ბოლო სამკვირეულისას — ცინცინატიში, სტენფორდსა და სან დიეგოში ისე გაირჯა, რომ საპირსო ილაჯი დასტურ ვეღარ მოიძია. ამის გამო იყო, ნამატჩევს რომ ჩიოდა, მართლაც მაგრად დავიღალე, დღეს აღარც მკლავი მერჩოდა, აღარც წელი, მარი კი უიმბლდონობის მერე თავის პირველ ტურნირზე თამაშობსო.

პირსის მიღწევის დაკნინებას სულაც არ ვცდილობთ, მაგრამ ნახევარფინალს ასევე ძალზედ დაღლილმა მიაღწია ნიჭიერმა ჩინელგოგო პენმა, ვინაც ელენა დემენტიევასა და დინარა საფინას შემდეგ მეოთხედფინალში კიმ კლაისტერსიც გააბუნძულა.

წინისწინა კვირაში სტენფორდობაზე გაჩემპიონებული კიმისგან სანდიეგობაზეც უფრო შედეგიან გარჯას ველოდით, მაგრამ ფუმფულა ბელგიელმა პენის წინაალმდეგ მართლაც ვერაფერი გააწყო. იმის მიუხედავად, რომ თავად ურიგოდ არ უთამაშია, ჩინელის მძლავრ, თავდაჯერებულსა და ტაქტიკამონაცვლე გლაჯუნს სათანადო თულფები მაინც ვერ შეახვედრა. „დღეს ჩემს თავს ვერაფერში დავადანაშაულებ — იძახდა კიმი მერე — მან უბრალოდ საუცხოოდ ითამაშა. ეგეთი ხათქუნა ჩვენში საერთოდ ცოტა თუ მეგულება."

ჰოდა, ამ ხათქუნასგან ნახევარფინალში გაცილებით მეტს ელოდნენ, ვიდრე ოდენ ოთხი გეიმის მოგებას. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ კიმთან ნაბუქნავებს მან წყვილადაც იპაექრა და საწოლს ისე გვიან მიაშურა, რომ დილამდე ძალთა აღდგენა ველარ მოასწრო. კარგად გამოსვენებულმა პირსს კი მისი პირველი გათამაშებიდანვე ალაგმვა არ გასჭირვებია.

თუმცა შუაი თავს იმით მაინც ინუგეშებს, რომ, თუკი სან დიეგოში ჩასვლამდე რეიტინგსიის 46-ე საფეხურზე იდგა, სანდიეგობის მერე ჩინელ ქალთათვის სარეკორდოდ მაღალ, 32-ე საფეხურამდე აღზევდება. ცნობისთვის: აქამომდელი რეკორდი ამაზე ერთით ქვემდგარ ლი ნას ეკუთვნოდა.

სხვაფრივ — ამ ტურნირს კიდევ იმითაც დავიმახსოვრებთ, რომ აქამდე ასეთი რამ არ მომხდარიყო, ეგოდენ რანგოვანი ტურნირის ნახევარფინალში ერთმანეთს იაპონელი მეჩოგნენი დასტაკებოდნენ. აი სუგიამამაც და აკიკო მორიგამიმაც თავიანთი წილი რიფები ეშხიანად განვლეს, თუმცა მათი მეოთხე საკარიერო შეხლა — და წინა სამში უკლებლივ სუგიამამ იმარჯვა — მაინც ცალკორტა გამოდგა. აის უპირატესობის გარდა ეს იმის ბრალიც გახლდათ, რომ აკიკოს მარჯვენა მუხლის მყესები აწუხებდა. თამაშის ჩათავებაც მან სწორედ ამის გამო ვერ შეძლო.

არადა, სუგიამას სანდიეგობამდე წლეულს 18 ტურნირზე ეთამაშა და წამლად ერთ მეოთხედფინალშიც ვერ გასულიყო. რაგინდარა ფინალში კი მას სულაც 2004 წლის იანვრის მერე აღარ ეპაექრა — მაშინ მან ადელაიდობაზე იჩემპიონა.

და ბოლოს — ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ ტრავმიანობის მომიზეზებით სანდიეგობაზე გამოუსვლელობის გამო 100 ათას-100 ათას დოლარით დააჯარიმა მარია შარაპოვა და სერენა უილიამსი. სავარაუდოდ ამათზე ოდნავ ლმობიერი სასჯელი ელის ლინდსი დევენპორტს, ვინაც — სხვათა შორის — ნატკენი წელის გამო ვერც ამ კვირაში, კარსონში გასამართ ბარაქიან ტურნირზე გამოვა.

ეს კი იმავ შარაპოვას აძლევს ჩინებულ შანსს, მას მდედრიონის სეფეჩოგანი ჩამოართვას. თუ, რასაკვირველია, კარსონობაზე ჩოგნაობას თავადაც არ იუარებს, როგორც ეს — ლინდსის კვალობაზე და დაჯარიმების მიუხედავად — სერენამ გააკეთა.

### LEGG MASON TENNIS CLASSIC
**ვაშინგტონი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 575 ათასი $**

**მეოთხედფინალი**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:7 (7:9) 7:5 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (10, ჩეხეთი) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 7:6 (7:5) 7:6 (11:9); **პარადორნ შრიჩაფანი** (13, ტაილანდი) — ლუის ორნა (პერუ) 6:4 7:5; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:3 6:2

**ნახევარფინალი**

**როდიკი** — შრიჩაფანი 7:6 (7:4) (6:2;) **ბლეიკი** — ბერდიხი 6:4 6:3

**საიმისოდ**, რათა კარიერის 29-ე ფინალში დაბინავებულიყო, ტურნირის 2001 წლის ჩემპიონ ენდი როდიკს — წინა კვირაში ჩვენს მიერ მიმოხილულ შეხვედრათა გარდა — აქ ჩამონგარიშებული ორი მატჩის მოგებაც მოუხდა.

ამათგან პირველში მან ამქრის უოყლაყესი კაცი, კორტის დონიდან ორი მეტრისა და 8 სანტიმეტრის ამკრეფი ხორვატი ივო კარლოვიჩი დაჯაბნა, ვისაც — ეგებ არც თქვენ დაგვიწყებიათ — მათ პირველ აქამომდელ შეხლაში ქუინზკლაბურ ფინალში მოუგო. ოღონდ მაშინ საქმე ორ, ტაიბრეიკიან სეტზე მეტხანს არ გაგრძელებულა, ახლა კი ენდიბოის პირველი წაგებული სეტის მერე ორის უკუგება დასჭირდა.

ნახევარფინალში კი როდიკი უკვე პიტალო ტაილანდელ პარადორნ შრიჩაფანს ერკინა და, თუმც პირველ სეტში საქმე კვლავ ტაიბრეიკამდე მიაყვანინა, მაგრამ მეორეში უკვე აშკარად დაჩაგრა და მასთან საკარიერო დაპირისპირებაში უკვე 6:1 დაწინაურდა.

სატურნირო ბადის მეორე მხარეს მოჩალიჩე ჯეიმს ბლეიკმა, ვინაც ტურნირის 2002 წლის ჩემპიონი გახლავთ, თვისტომ-მეგობარ ენდიბოისთან შედარებით ნაკლებ ოფლიანად იარა.

ალბათ, გახსოვთ, ბლეიკი შარშან რეიტინგსიის 39-ე საფეხურზე იდგა, როცა რომში ვარჯიშისას ხერხემალი დაიზიანა და დიდი ხნით კორტს მიღმა აღმოჩნდა. იძულებითი უქმობისას ის ამქრის ქვესკნელეთში ჩაიძირა და ზეორასეულსაც ჩაცდა, მაგრამ წლეულს ვითარება ოდნავ გამოისწორა და იმ კვირის დასაწყისში მხოლოდ 101-ე ალაგი რომ ეკავა, საიმკვირაო რიგიანი ბურთაობის შედეგად შესამჩნევად აიწევს ზევით.

ბლეიკისთვის ეს პირველი ფინალი იყო 2003 წლის შემდეგ, წლეულს ჰიუსტონობაზე, სანხოსეობასა და ქუინზკლაბობაზე ნახეირალი ენდიბოი კი ვაშინგტონში თავის მეოთხე საამსეზონო და მე-19 საკარიერო ტიტულზე ნადირობდა.

### IDEA PROKOM OPEN
**სოპოტი. თიხნარი**
**საპრიზო 404 ათასი €**

**მეოთხედფინალი**

**გილერმო კორია** (3, არგენტინა) — იგორ ანდრეევი (7, რუსეთი) 6:4 7:6 (7:5); **პოტიტო სტარაჩე** (იტალია) — ხოსე აკასუსო (6, არგენტინა) 4:6 6:4 6:4; **გაელ მონფი** (საფრანგეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (8, რუმინეთი) 6:3 1:3; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:2 6:2

**ნახევარფინალი**

**მაიერი** — კორია 6:4 5:7 6:3; **მონფი** — სტარაჩე 3:6 7:5 6:4

**ფინალი**

**მონფი** — მაიერი 7:6 (8:6) 4:6 7:5

**აფროფრანგ** გაელ მონფის პირველ სექტემბერს 19 წელი შეუსრულდა და, ვიშ, რა კარგია, ამ ამბავს უკვე კარიერის პირველტიტულმონახვეჭი რომ შეხვდება.

ეს ბიჭი რომ ადრე თუ გვიან და, უფრო მეტად მაინც ადრე, სადმე გაისვრიდა, საქმეში ჩახედული მილეთი შარშანდლის მერე ელის. საქმე ის გახლავთ, რომ მეტრისა და 90 სანტიმეტრის ამთვლელმა ამ კაფანდარა ყმაწვილმა შარშან მიჯრით აოხრა ავსტრალიის ღია პირველობის, როლანგაროსობისა და უიმბლდონობის იუნიორთა შეჯიბრებანი, ხოლო აშშ-ის ღია პირველობაზე მესამე წრემდე გაიბრძოლა და ეს ისე ლაღად და დამაჯერებლად გააკეთა, რომ მისი ცქერა ერთ რამედ ღირდა!

იმის მერე გალები მასზედ დიდ იმედებს ამყარებენ და მის აღმოსვლასაც ისევე მოელიან, როგორც რომ მათი აწ უკვე ამოციაგებული პატარა უფლისწულის, რიშარ გასკესი.

ჰოდა, ჩამოასხით, მუსიე, დღეს ყოფილი ფეხბურთელის რუფინ მონფის სტუმართმოყვარე და ღვინოუხვ ოჯახში გრიალია — ვინძლო, გაელმა რომ განსხვავებული მოიგო, იმოტოლა სასმისებით წავა ჩატყვრომა...

21 წლის ფლორიან მაიერს კი მთელი ამ ამბიდან ნუგეშად ის უნდა წაყვეს, რომ უდაძაბულეს ნახევარფინალში ტურნირის შარშანწინდელ ჩემპიონს, ამქრის ერთ უჩასპანდეს მეთიხნარე გილერმო კორიას მოუგო.

ისე კი, განსხვავებით შარშანდელი სეზონისგან, როცა ბუქარესტსა და ეშტორილში ნახევარფინალებს, ხოლო უიმბლდონსა და კიცბიუელში მეოთხედფინალებს უწია, წლეულს მხოლოდ სამად-სამჯერ შეძლო, აქა-იქ მესამე წრემდე მისულიყო.

მონფიმ კი, რომელსაც საეიტიპიო დონეზე აქამდე არც თავად გაუბრწყინია, ორი — ბეზანსონური და ტუნისური — ჩელენჯერტურნირი მაინც მოიგო.

ფინალში კი ის უფრო ნაირგვარად ბურთაობდა და გადამწყვეტ მომენტებშიც უფრო მშვიდი გახლდათ. საგამარჯვებო განსხვავებულებსაც ძირითადად სწორედ ასეთი ყრმების ოჯახებში გაახლებიან. ჩვენი გადაპიპინებული სადღეგრძელოებიც — ალალ მათ!



გაელ მონფი

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰელსინკი. 6–14 აგვისტო









AFP ჰელსინკიდან

## ადამ ნელსონი

# ჰკა მაგას!

**ჰელსინკის** ოლიმპიური სტადიონი. 65 000 მაყურებელი, მათ შორის იააფ-ის და სოკ-ის პრეზიდენტები ლამინ დიაკი და ჟაკ როგი. მშვენიერი გარემო და წარმოდგენა, ნიავიც სწორედ რომ დროული და საამოა. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მძლეოსნობაში მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის მასპინძელმა ფინელებმა მე-10-ეც მშვიდობიანად და მშვენივრად გახსნეს.

ეს მოხდა პარასკევს, შაბათ დილიდან კი ხუთი კონტინენტიდან ოქრო-ვერცხლის საძებნელად ჰელსინკში ჩასული 1000-ზე მეტი სპორტსმენი საქმეს შეუდგა და უამრავ საკვალიფიკაციო გარბენ-გამოსვლებთან ერთად მედლების სამი კომპლექტიც გაათამაშა.

20 კილომეტრზე სპორტულად მოსიარულეებით დავიწყოთ, რაკი ორგანიზატორებმა პირველი მედლეული ამ კაფანდა კაცებს ჩამოურიგეს, უფრო ზუსტად მათ შორის სამ საუკეთესოს. მას შემდეგ — ეს კი ათენის ოლიმპიადის დაისზე მოხდა — რაც დიდმა პოლონელმა რობერტ კორჟენიოვსკიმ სპორტულ სიარულს თავი ანება და ალბათ ჩვეულებრივადღა დადის, როგორც ყველა ნორმალურ მოსიარულე, ამ სახეობაში მამაც და სახლისიც ეკვადორელი ჯეფერსონ პერესი გახდა. თუმც ვერ ვიტყვით, მთელი გზა და ოქროული წინ უძევს-თქო, რაკი ჭაბუკი ნამდვილად არ გახლავთ, 31 წლისაა და მედლები კორჟენიოვსკის დროებაშიც მოუპოვებია, თან არცთუ უხარისხო — თუნდაც 1996 წლის ატლანტას ოლიმპიადის ოქროს ხსენება ღირს. ახლაც 20 კილომეტრი სხვებზე ჩაუქად გაიარა, ამხელა გზას 1 საათი, 18 წუთი და 35 წამი ამყოფინა და ფინიშთან მთელი წუთით მიასწრო ესპანელ ფრანცისკო ხავიერ ფერნანდესს, რომელიც ჯიშით ესპანელი გახლავთ. ესპანელი გამოდგა მისი მომყოლიც და შესაბამისად ბრინჯაოსანი ხუან მანუელ მოლინაც.

შემდეგ ვეება ბირთვისმკვრელთა ჯერი დადგა და ისე გამოვიდა, გამარჯვების შესაბამისი ოქრო ამათ შორის ყველაზე მოკლეს, თუმც მაინც გვარიანად მხარ-ბეჭგაშლილის შეხვდა. ბოლო წლებში მას სულ ცოტა აკლდებოდა პირველობამდე — ორი ოლიმპიური ვერცხლი, იგივე სინჯის მედლები მსოფლიოს ნამდვილ და „დახურულ" ჩემპიონატებზე... მოკლედ, ამერიკელ ადამ ნელსონს სადღაც რაღაც აუცილებლად უნდა მოეგო და ძალიანაც გაიხარა, გამარჯვებას ჰელსინკში რომ გაახსენდა.

ნელსონი თავიდანვე ისე გავიდა ბირთვის საკვრელ მოედანზე, როგორც კეტჩისტები შედიან რინგზე. პუტკუნა ლოყებში ერთიორი გაილაწუნა, თავს შეუძახა და 21,73 მეტრზე რომ ჰკრა ბირთვი, ისეთი ღრიალი ატეხა, სხვებს მკლავ-მუხლი აუცახცახდათ.

HELSINKI August 6-14 2005
IAAF World Championships

რიგრიგობით გამოდიოდნენ ჯანიანი ჯეელები და ნელსონის შედეგს უტევდნენ, მაგრამ სულ ტყუილად. 21 მეტრს მხოლოდ ერთადერთმა, ჰოლანდიელმა რუტგერ სმიტმა გადააცილა და არცთუ ბევრით, მხოლოდ 29 სანტიმეტრით. თავად ნელსონმაც ვერ გააუმჯობესა პირველი ცდის შედეგი და ასე, 21,73 მეტრით საჩემპიონო ოქროც შეჰმატა თავის უსაშველოდ მოვერცხლილ კარიერას.

„2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე ფინელმა არსი ჰარჯუმ რომ მომიგო, მას შემდეგ ფინელები სულ მე მქომაგობენ და ეს ქვეყანა ჩემი მეორე სამშობლო გახდა. სულ აქ ვვარჯიშობ და ხალხიც შინაურივით მექცევა. ამ მოგებას მათ ვუძღვნი. მართალი გითხრათ, გამარჯვებას არც ახლა ველოდი,




AFP ჰელსინკიდან

დები დიბაბები: ტირუნეში და ეჯეგაეეჰუ

მაგრამ ხალხი ისე მამხნევებდა, არ შეიძლებოდა, მათი გულისთვის არ მომეგო. დღეს მე ბედნიერი რომ ვარ, მათი დამსახურებაა" — მოკლედ, გაიხარა ამ კურატა კაცმა.

ბოლოს კი მივადექით აფრიკელთა, მეტადრე კი ეთიოპელთა საყვარელ 10 000 მეტრს. შაბათი ქალების დღე იყო. არც ვინმეს გაჰკვირვებია, პირველი ექვსი ადგილიდან ხუთი აფრიკელმა დიაცებმა რომ დაიჭირეს. რაც შეეხება მედლეულს, ოქროც, ვერცხლიც და ბრინჯაოც სწორედ რომ ეთიოპელებს შეხვდათ, თანაც პირველ და მესამე ადგილებზე გასულები დები გახლავან — ტირუნეში და ეჯეგაეეჰუ დიბაბები. ტირუნეში უმცროსია და გაცილებით ყოჩაღიც. ორი წლის წინ პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე 5000 მეტრი მოიგო და ახლაც ყველას სიქა გააცალა — სახელმოხვეჭილ თანამემამულე მერჰანე ადერეს წუთნახევარი მოუგო, უფროს დაიკოს კი ორი წუთი და პოდიუმის წვერზეც მორცხვად შედგა ფეხი.

იყო კიდევ ერთი ქალბატონი, თანაც ევროპელი, რომელიც თავიდან ყოჩაღად გარბოდა და ხალხმა რომ იფიქრა, ამდენ ზანგში იქნებ ამ თეთრმაც გაკვესოსო, იქ უმტყუნა მუხლმა. ეჰ... დიდი ბრიტანელი სტაიერი პოლა რედკლიფი ახლა ველარ პოზიორობს პოდიუმებზე. ის მხოლოდ მე-9 იყო.

**კოტე ყორშია**

### 6 აგვისტო

#### კაცები. 20 კმ სიარული

| | |
|---|---|
| 1 ჯეფერსონ პერესი (ეკვადორი) | 1:18.35 |
| 2 ფრანცისკო ფერნანდესი (ესპანეთი) | 1:19.36 |
| 3 ხუან მოლინა (ესპანეთი) | 1:19.44 |

#### ბირთვის კვრა

| | |
|---|---|
| 1 ადამ ნელსონი (აშშ) | 21,73 |
| 2 რუტგერ სმიტი (ჰოლანდია) | 21,29 |
| 3 რალფ ბარტელსი (გერმანია) | 20,99 |

#### ქალები. 10 000 მ

| | |
|---|---|
| 1 ტირუნეშ დიბაბა (ეთიოპია) | 30.24,02 |
| 2 ბერჰანე ადერე (ეთიოპია) | 30.25,41 |
| 3 ეჯეგაეეჰუ დიბაბა (ეთიოპია) | 30.26,00 |

### 7 აგვისტო

#### კაცები. ბადროს ტყორცნა

| | |
|---|---|
| 1 ვირჯილიუს ალეკნა (ლიტვა) | 70,17 |
| 2 გერდ კანტერი (ესტონეთი) | 68,57 |
| 3 მიხაელ ვოლენბეკი (გერმანია) | 65,95 |

#### 100 მ

| | |
|---|---|
| 1 ჯასტინ გატლინი (აშშ) | 9,88 |
| 2 მაიკლ ფრატერი (იამაიკა) | 10,05 |
| 3 კიმ კოლინზი (სენტ კიტსი) | 10,05 |

#### ქალები. 20 კმ სიარული

| | |
|---|---|
| 1 ოლიმპიადა ივანოვა (რუსეთი) | 1:25.41 |
| 2 რიტა ტურავა (ბელარუსი) | 1:27.05 |
| 3 სუსანა ფეიტორი (პორტუგალია) | 1:28.44 |

#### სამხტომი

| | |
|---|---|
| 1 ტრესია სმიტი (იამაიკა) | 15,11 |
| 2 იარხელის სავინი (კუბა) | 14,88 |
| 3 ანა პიატიხი (რუსეთი) | 14,78 |

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# სპორტის დედოფლის საღამო



ჰელსინკი, ოლიმპიური სტადიონი, რომელსაც ახლახან გემრიელი რემონტი ჩაუტარდა, მძლეოსანთა მსოფლიოს მეათე ჩემპიონატის გახსნა, ტელეკამერები და ფოტოფლეშები, შესავალი სიტყვები და ტრუმპა-ცუმპა... და წვიმა.

# მოტოაფრენა

ესა ფრისტაილია, მაშ! შეჯიბრება რომ არის, **ESPN**-ის მეათე თამაშები ჰქვიებია, მოტოზე შემომჯდარ კაცსა კიდევ ტრევის პასტრანა.

სად ხდება ეგეები? სადა და ამერიკა რომ არის, იქ, კალიფორნიაში, უფრო ზუსტადა კერსონში.






# დაჰკარ, დაჰკარ

ტაილანდელი დენ ჯანრლაპანი იაპონელ კაცუნარი ტაკაიამას განა მართლა ისე ძალიან მოერია... მაგრამ მაინც მოერია და ჩალის წონაში **WBC**-ს ვერსიით ჩემპიონის ქამარი შემოირტყა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ახალაძე, ილია ხარაბაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აბულაძე, გიორგი დარჩიანი, გიორგი ვაშაკიძე, ხიხი კორძორეიშვილი, ლადო ხინჯერია, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კულიჯაძე, თამარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კოიალაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge